# ႱႠႰႦႡႨႤႪႨ

ႱႠႰႦႡႨႤႪႨ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2004 №289 (2310) ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ



ეროვნული ბიბლიოთეკა


## ტორპედოს პოზიციები უშიშვლდება

## ქუთაისელებს მეგრელაძეც დაემშვიდობა






## ბასკური ETAლონი

გუშინ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალ“ — „სოსიედადის“ მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე უსაფრთხოების აგენტმა მსაჯი გაიხმო და რაღაც უთხრა. მსაჯმა მაშინვე ხელების ქნევით ანიშნა ფეხბურთელებს თამაშის შეწყვეტა, სტადიონზე კი გამოაცხადეს, რომ „ბერნაბეუ“ დანაღმული იყო.

1968 წლიდან მოყოლებული, ბასკ ტერორისტთა მიერ 850 ადამიანია მოკლული. წინა კვირაში მათ შვიდ ქალაქში ააფეთქეს ბომბები და ჩანს, „ბერნაბეუს“ გემრიელ ლუკმად ინახავდნენ.

გუშინ „ბერნაბეუზე“ ბომბი არ აფეთქებულა, ოღონდ არ იყო თუ გააუვნებლეს, ოფიციალურად არავინ ამბობს. ისე კი, ძაღლებიან გამნაღმველებს აღმოუჩენიათ რაღაც საეჭვო ჩანთა.

„ბერნაბეუ“ მეორედ გახდა ETA-ს სამიზნე: ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მის ჭიშკართან დანაღმული მანქანა ააფეთქეს.

## ხიზანეიშვილი ქართულ გუნდში

### ოთარი დღეიდან ფრაიბურგელია

საქართველოს ნაკრების მცველი ოთარ ხიზანეიშვილი დღეიდან ბუნდესლიგის „ფრაიბურგის“ ფეხბურთელი იქნება. ჩვენიანი უკვე ფრაიბურგშია, კლუბის ხელმძღვანელებთან კონტრაქტის დეტალები შეათანხმა და „ფრაიბურგის“ მაისურის მორგებაღა დარჩა.




## ეს წელი გაიწელა

**ზესტაფონი** **დაითოვლა** **დინამო**





ცინცხალი ამბავი: ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა გია მეგრელაძემ ქუთაისის „ტორპედო" დატოვა. მეგრელაძე ზვიად სტურუას შემდეგ მეორეა, ქვეყნის სამგზის ჩემპიონთან ურთიერთობა რომ გაწყვიტა და მის გზას მალე, სავარაუდოდ, ორი-სამი ტორპედოელიც დაადგება.

ასეა, მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გუნდი იშლება და როდემდე გაგრძელდება ეს პროცესი, ძნელი სათქმელია.

მეგრელაძე კი მომავალი კლუბის ძიებაშია, თუმცა ამ ყველაფერს მასთან ინტერვიუში უკეთ შეიტყობთ...

# აბა, კარგად...
## აბა, ცუდად ახლაა საქმე:
# ტორპედოს მეგრელაძეც დაემშვიდობა

— „ტორპედოდან" უკვე წამოვედი, ასე გადავწყვიტე.

**— გადაწყვეტილებას აღარ შეცვლი?**

— არა. ხვალ კლუბი პირად საბუთებს და განთავისუფლების ფურცელს მომცემს და ერთმანეთს დავშორდებით, თუმცა... რაღა დავშორდებით, უკვე დავშორდით და ეგ არის.

**— ახლა რას აპირებ?**

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი. რაღაც ვარიანტები არის და ვნახოთ...

**— „ტორპედომ" უპრობლემოდ გაგიშვა?**

— შეთანხმება ისედაც ზამთრამდე მქონდა. მეც მივედი ხელმძღვანელობასთან, გაშვება ვთხოვე და წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. პრობლემები ნაღდად არ შემქმნია.

**— საქართველოში გააგრძელებ თამაშს?**

— არ ვიცი...

**— ამბობენ, მეგრელაძის გადაბირებას „ზესტაფონი" ცდილობსო...**

— არა, ეს გამორიცხულია. ამ ვარიანტს არც განვიხილავ.

**— კიდევ რა არის გამორიცხული?**

— „ტორპედოში" დარჩენა.

**— მაინც როგორ ფიქრობ, საქართველოში დარჩები თუ უცხოეთში წახვალ?**

— უფრო უცხოეთში. რამდენიმე წინადადება მივიღე და მალე გადავწყვეტ ყველაფერს.

**— რომელ ქვეყანაში?**

— ვერ გეტყვი, წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. ცოტაც დაველოდოთ და ყველაფერს გაიგებთ.

**— „ტორპედოში" გატარებულ ოთხ-ხუთ თვეზე რას იტყვი?**

— კმაყოფილი ვარ. ამ პერიოდმა მომცა უცხოეთში წასასვლელი შანსი და ამისთვის ყველასი მადლობელი ვარ — კლუბის, მწვრთნელფეხბურთელების, ხელმძღვანელების. საპრეტენზიო არაფერი მაქვს.

**— ძალიან მცირეხნიანი დაბრუნება კი გამოგივიდა...**

— რას ვიზამთ. ასეა და ვერაფერს შევცვლი.

**— და მზად ხარ უცხოეთში წასასვლელად?**

— მალე ყველგან მოსამზადებელი ეტაპი იწყება — გუნდები შეკრებებზე მიდიან და არა მგონია, ფორმის აღდგენა ვერ შევძლო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თავის იმედი მაქვს.

**ბაჩა შალამბერიძე**

გიო ახვლედიანის სვეტი

# წლის ბოლოს

გუშინ თითქოს უნდა დამთავრებულიყო საქართველოს ამ წლის საფეხბურთო სეზონი.

ოღონდაც, ზესტაფონის დათოვლილ მინდორზე იქაურები და „დინამო" ვერ გავიდნენ და წელიწადი სიმბოლურადაც დაუსრულებელი დარჩა, თამაში გადაიდო და იმასთან ერთად კი გადაიდო ჩვენი იმედებიც და ის კაი-კაი სურვილებიც, ქართული ფეხბურთის გამო რომ გვაქვს.

ამ წელიწადს რომ გავხედოთ, სეზონის გმირად (თუ ძალიან ხმამაღალი სიტყვა არ იქნება და იყოს ხმამაღალი, ამით არაფერი დაშავდება) ეროვნული ნაკრები გამოდის. მას ყველაზე მეტად დაეტყო ხელი და მან ყველაზე უკეთესი ფეხბურთიც ითამაშა. თანაც, მან ყველაზე მეტად ააჩქროლა ხალხის გულები.

თუკი ამას იმ ამბავსაც მოვაყოლებთ, რომ ნაკრები ცდილობს მოერგოს თანამედროვე ფეხბურთს და იმ თავის ძნელ ჯგუფში შედეგიც ღირსეული აქვს, ჩვენთვის მისი თამაში ნამდვილად წლის სიხარული და იმედი შეიქნება.

აქ შეიძლება, ასარჩევადაც ყოფილიყო საქმე. რატომ „დინამო" არა? „დინამომ" ხომ წლეულს იშვიათობა მოახდინა ქართული ფეხბურთისთვის. უეფას თასის საკვალიფიკაციო წრეები დაძლია და ჯგუფში მოხვდა. თუმცა, „დინამომ" ვერ განავითარა თავისი მიღწევა: ვერც შედეგით (რაც გასაკვირი იქნებოდა) და ვერც რაგინდარა სათამაშო სიახლით. თანაც, უეფას ჯგუფში მის ყოფნას წლის ბოლოს სკანდალიც ჩაება „პანიონიოსთან" თამაშის შემდეგ და ესეც თითქოსდა ის ამბავი იყო, რომელიც გამოუცდელ გუნდს უნდა დამართნოდა. სკანდალის ამბავს უეფა იძიებს და ახლა ამაზე ლაპარაკი სისულელეა. როგორც უნდა დამთავრდეს ეს საქმე, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული კლუბები ჯერ ეგრეც ვერ შეეგუვნენ ნამდვილ ევროპულ თამაშს და იმ სამყაროში შებიჯება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე შორიდან ჩანს.

ზესტაფონში კი თოვლია.

ეს თოვლი რომ დადნება და გაზაფხულიც რომ მოვა, მერე ახალ იმედებზეც ვილაპარაკებთ, რომლებიც სინამდვილეში ძველია.

## დავით ყიფიანის თასი

**მერვედფინალი. საპასუხო მატჩი**

ზესტაფონი. 12 დეკემბერი. 13 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — დინამო (1:2)**





# ბოლო იმედის ტრაქტორი ჩაწყობილ თოვლზე
## წითელი ბურთი არ გაგორდა

„ზესტაფონი" — „დინამოს" ისედაც გადადებული სათასო შეხვედრა გუშინ ერთხელაც გადაიდო. ამჯერად ფეხბურთი დიდთოვლობამ ჩაშალა. ხუთშაბათს გამართული პირველი, თბილისური შეხვედრისას იმერელთა ერთ-ერთი ქომაგის ვერსია, „დინამოს" თოვლს დავახვედრებთო, ბევრს სასაცილოდ არ ეყო. ზესტაფონში მაშინ მშრალი ამინდები დაეჭირა და ვინ იფიქრებდა, სამ დღეში თუ მოთოვდა.

ისე აგიხდეთ საფეხბურთო და არა მარტო საფეხბურთო ჩანაფიქრები, იმ კაცის ნათქვამი რომ ახდა. იმერქალაქი ბოლო დღეებში ისე დაითოვლა, ბურთით სირბილი კი არა, უბურთოდ სიარული გაჭირდა. მატჩის გადადებაზე ხალხმა ჯერ კიდევ წინა საღამოს დაიწყო ლაპარაკი, თუმცა ოფიციალურად ამის თაობაზე არაფერი თქმულა. თან „დინამოც" უკვე ზესტაფონში იყო და ფეხბურთის ფედერაციაც კატეგორიულად მოითხოვდა თამაშის ჩატარებას.

მთელი ღამე თოვდა, დილითაც. როცა სტადიონს გუნდები და მსაჯკომისრები მოადგნენ, თოვლის საფარმა ლამის ნახევარ მეტრს მიაღწია. თამაშის დაწყებამდე ბევრიც აღარ რჩებოდა და, ცხადია, მოედნის გასუფთავებას მონდომებითაც ცდილობდნენ. რომ მიხვდნენ, ტექნიკის ჩაურევლად საქმეს არ ეშველებოდა, მოედანზე ორი ტრაქტორი შეუშვეს. ეს ბოლო იმედიც მალევე გაქრა. ტრაქტორებმა კარიდან კარამდე კი გაკვალეს, მაგრამ კვლებს შორის იმხელა თოვლის ზვინები დადგა, მარტო საფეხბურთო ეკიპირებით მათი გადალახვა ბევრს გაუჭირდებოდა.

ამ დროს საფეხბურთო სამზადისი კულისებშიც გრძელდებოდა. ბურთები სახელდახელოდ წითლად შეღებეს, თოვლში რომ კარგად გამოჩენილიყო. თუმცა არც შეღებილი და არც შეუღებავი ბურთი მაყურებელს არ უნახავს.

თამაში გადაიდო. ეს პირველ საათამდე გაცხადდა. მატჩის დაწყების დროს არც დინამოელები და არც მსაჯ-კომისრები ზესტაფონში უკვე აღარ იყვნენ.

გუშინდელი შეხვედრა საგაისოდ, სავარაუდოდ, თებერვლისთვის გადაიდო. ზესტაფონელთა მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ გვითხრა, ალბათ 14 თებერვალს ვითამაშებთო, თუმცა ოფიციალურად ჯერ არაფერი გადაწყვეტილა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

*ზესტაფონიდან*

# რაღა შალკეს მოხვდა...

## ბოლოს კუდმოქნეულმა ფრაიბურგმა კობიაშვილიც აზარალა

*ზედიზედ შვიდმატჩიანი მარცხიანი სერია „ფრაიბურგმა“ მოულოდნელად შეწყვიტა. აბა, ვინ იფიქრებდა, ბუნდესლიგის აუტსაიდერი საჩემპიონოდ შემართულ „შალკეს“ სტუმრად აართმევს ქულასო? ასეა თუ ისე, „ფრაიბურგმა“ გელზენკირხენში 1:1 ითამაშა და ჩვენც გუშინ ალექსანდრე იაშვილს შევეხმიანეთ...*

— პირველი წრე წაგებით რომ არ ჩავამთავრეთ, კარგია. ყველას ეგონა, რომ ერთხელაც წავაგებდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა უფრო იმედიანად ვართ, მართალია, ერთი ქულა ბევრს ვერაფერს გვშველის, მაგრამ „შალკესთან“ მეტის მოთხოვნა სისულელე იქნებოდა.

**— კმაყოფილი ჩანხარ...**

— ეგრეა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში ვითამაშეთ კარგად, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შევქმენით. ვფიქრობ, 1:1 ლოგიკური ანგარიში იყო.

**— საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

— უკმაყოფილო არ ვარ, ნორმალურად ვითამაშე. „შალკეს“ შანსი ჰქონდა, ზამთრის ჩემპიონი გამხდარიყო, მაგრამ არ გამოუვიდა.

**— ანუ ლევან კობიაშვილის „ცოდვაში“ ჩადგი ფეხი...**

— აბა, სხვანაირად ფეხბურთში არ ხდება. ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს, „შალკეს“ და კობის — თავისი.

**— ახლა ოთარ ხიზანეიშვილიც შემოგემატებათ. „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობა შენც დაგეკითხებოდა მის თაობაზე...**

— რა თქმა უნდა, მეც მკითხეს და ყველაფერი ავუხსენი. დანარჩენი უკვე მოლაპარაკების საქმეა.

**ბახა შალამბერიძე**



REUTERS გელზენკირხენიდან

„ფრაიბურგთან“ ფრით გულდაწყვეტილი დარიო როდრიგესი და ქულით გახარებული როდა ანტარი და ალექსანდრე იაშვილი

# დღეიდან ხიზანეიშვილი ფრაიბურგელია

**საქართველოს ნაკრების მცველი ოთარ ხიზანეიშვილი დღეიდან ბუნდესლიგის „ფრაიბურგის“ ფეხბურთელი იქნება. ჩვენიანი უკვე ფრაიბურგშია, კლუბის ხელმძღვანელებთან კონტრაქტის ყველა დეტალი შეთანხმებული აქვს და „ფრაიბურგის“ მაისურის მორგებაღა დარჩენია. ხიზანეიშვილ — „ფრაიბურგის“ კონტრაქტი 2+2 ან 3-წლიანი იქნება, ეს თავად ოთარის გადასაწყვეტია, კლუბმა მას ხელშეკრულების ორი ვარიანტი შესთავაზა, არჩევანის გაკეთება კი ფეხბურთელს მიანდო, რომელიც ამ ორიდან ერთს ხელს დღეს მოაწერს**



ოთარ ხიზანეიშვილი მოსკოვიდან ფრაიბურგში გუშინ ჩაფრინდა. მასპინძლებმა ჩვენიანს საწვრთნელი ბაზა, სტადიონი დაათვალიერებინეს, კონტრაქტის პირობები შეუთანხმეს და სავახშმოდ დაპატიჟეს. ოთარს ჩვენც სწორედ ამ დროს დავუკავშირდით. უხერხული იყო, მაგრამ მან ორიოდ სიტყვა მაინც გვითხრა...

— ჩათვალეთ, რომ უკვე „ფრაიბურგის“ ფეხბურთელი ვარ. კლუბის ხელმძღვანელობასთან თითქმის ყველაფერი შევათანხმე.

**— კონტრაქტს როდის გააფორმებ?**

— ხვალ. შემოთავაზებულ კონტრაქტს ერთხელაც გადავხედავ, გადავწყვეტ, რა ხნით აჯობებს ჩემთვის „ფრაიბურგში“ დარჩენა, თუმცა, რომ დავრჩები, ეს უკვე ნაღდია.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ოთარ ხიზანეიშვილი ამჟამინდელ ბუნდესლიგაში მეოთხე ქართველი იქნება. ლევან ცქიტიშვილი და ალექსანდრე იაშვილი მას „ფრაიბურგშივე“ დახვდებიან, ლევან კობიაშვილი კი „შალკეში“.

**კობა ინასარიძე**

*ნინა შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებიდან ყველაზე ნაკლები პრეტენზია გიორგი ლომაიას მიმართ ისმოდა. 24 წლის მეკარე ერთხანს მოსკოვის „სპარტაკის“ ძირითადშიც იყო, მაგრამ „სახალხო გუნდის“ ექსთავკაცმა ნევიო სკალამ ჩვენიანს თავისი ფავორიტი კოვალევსკი ამჯობინა. მერე გიორგი სულაც მესამე მეკარედ იქცა და სპარტაკელებმაც პირველლიგელ „ხიმკიში“ გაუშვეს. „ხიმკი“ გუშინ ანთალიურ შეკრებაზე გაემგზავრა, სადაც 28 დეკემბრამდე დაჰყოფს, ახალი წლის შემდეგ კი კიდევ ორი უცხოური ვოიაჟი აქვს დაგეგმილი. ხიმკელთა თავკაცმა პაველ იაკოვენკომ გუნდი სრულად შეინარჩუნა და, ბუნებრივია, ანთალიაში ლომაიაც წაიყვანა...*

# ლომაიას ხომ კი ხიმკია

— სიახლე არაფერია. ბუნებრივია, „ხიმკიში“ ბოლომდე კმაყოფილი ვერ ვიქნები, რადგან პირველი დივიზიონის გუნდია, მაგრამ ჯერჯერობით წასასვლელიც არსად მაქვს.

**— „სპარტაკიდან“ არავითარი დაინტერესება აღარ ყოფილა?**

— არა, „სპარტაკმა“ მხოლოდ ერთხელ სცადა ჩემი გამოსყიდვა, მაგრამ რა ფასადაც გამიშვა, იმდენის გადახდა აღარ მოინდომა. თანაც, მგონი, „ხიმკისაც“ არ სურს ჩემი გაშვება, თუმც პირადად კლუბის ხელმძღვანელებთან ამ საკითხზე არ მილაპარაკია. როგორც იცით, „ხიმკის“ პრეზიდენტი ჩერვიჩენკოა და ჩემს კონტრაქტსაც ის ფლობს, კონტრაქტი კი სამწლიანია...

**— პირველი დივიზიონის ბოლო მატჩებში კარგად გითამაშია...**

— რაც ვითამაშე, კმაყოფილი ვარ, მაგრამ უფრო მეტი მინდა.

**— თითქოს გერმანული გუნდის ვარიანტზეც იყო ლაპარაკი...**

— არა, ეს ყველაფერი ჭორებია. პირადად მე არავინ დამკავშირებია, გაზეთებიდან გავიგე რაღაც-რაღაცები. მოკლედ, ახალ წლამდე ჩემთან დაკავშირებით არაფერი შეიცვლება.

**— „ხიმკი“ წლეულს პირველ დივიზიონში მეხუთე ადგილზე გავიდა. გაისად პრემიერლიგაში გადასვლას უმიზნებს?**

— მონდომებულები არიან, სამი შეკრება დაგეგმეს და ალბათ გუნდსაც გააძლიერებენ, თუმც შემადგენლობა ჯერ არ ჩამოყალიბებულა...

ბოლოს გეტყვით, რომ მეორე ხიმკელი ქართველი ვალერი აბრამიძე ანთალიურ შეკრებაზე გვიან ჩავა — აბრამიძეს გლანდების ოპერაცია გაუკეთებია.

**ილია ნანოგაშვილი**



# ვიტ ჯორჯიას თანამეგობრები დაუკენჭეს...

*აბა, დონით რა შედარებაა, მაგრამ თანამეგობრობის თასი რაღაცით „კოპა ამერიკასა“ და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს გვაგონებს. ამ სამ ტურნირს ერთი აქვთ საერთო — ფავორიტები უხალისოდ, თანაც მეორე შემადგენლობით თამაშობენ, ხოლო წვრილ-წვრილი გუნდები ძალ-ღონეს არ იშურებენ*

ბოლო წლებში თანამეგობრობის თასი სულს ლაფავდა, ახლა კი სულაც ჩაშლის პირას იყო, თუმც ტურნირი ალბათ მაინც ჩატარდება. ყოველ შემთხვევაში, კენჭისყრა გაიმართა და საქართველოს ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ ჯგუფური მეტოქეები შეიტყო: B ჯგუფში ვიტელებს ტაშკენტის „ფახთაქორთან“, ლიტვურ „კაუნასთან“ და ყირგიზულ „დორდოისთან“ მოუწევთ ბურთაობა. ჯგუფიდან მხოლოდ პირველადგილოსანი გადის და თუ „ვიტ ჯორჯიამ“ ეს მოახერხა, მეოთხედფინალში საქმეს ამ სამიდან — ტალინური „ლევადია“, მინსკის „დინამო“ და ალმათის „ქაირათი“ — ერთთან დაიჭერს.

ადრეც ვწერდით, რომ თანამეგობრობის ტურნირს სისტემა შეეცვალა: მოსკოვის „ლოკომოტივი“ და კიევის „დინამო“ ნახევარფინალიდან დაიწყებენ, ანუ თასის მოსაგებად ორად-ორი მატჩის მოგება ეყოფათ. ვერაფერს იტყვი, ორგანიზატორებმა დიდი პრივილეგია მიანიჭეს რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონებს. მიზეზიც მარტივია — იქნებ „ლოკომ“ და კიეველებმა უძლიერესი შემადგენლობა ჩამოიყვანონო. თუმც ამ ხერხმა უკრაინელებზე ვერ გაჭრა, თებერვალში ევროტურნირები გველის და ხელოვნურ საფარზე ტრავმების ხათაბალას ვერიდებითო.

ტურნირი 15-23 იანვარს გაიმართება და „ვიტ ჯორჯიას“ ჯგუფური მატჩების განრიგი ასეთია: 15 იანვარს „ფახთაქორს“, 16-ში „კაუნასს“, 18-ში კი „დორდოის“ ხვდება. რა თქმა უნდა, საქართველოს ჩემპიონების მთავარმოცილე „კაუნასი“ იქნება, რომელიც შარშანდელი თასის ნახევარფინალისტია და ორჯერ ფინალშიც უთამაშია. ვიტელთაგან განსხვავებით, სხვა „ქართული“ კლუბები (თარხნიშვილ-ბურნაძის „შერიფი“ და კორლალიძე-მენთეშაშვილ-ყიფიანის „სკონტო“) სამგუნდა ჯგუფში მოხვდნენ. მოკლედ, თქმა არ უნდა, მერაბ კოჭლაშვილის ბიჭებს თბილისის „დინამოს“ შარშანდელი გაბრწყინების გამეორება ძალიან გაუჭირდებათ...

**ილია ნანოგაშვილი**

**A ჯგუფი** ლევადია (ესტონეთი), დინამო (ბელარუსი), ქაირათი (ყაზახეთი), რუსეთის ჭაბუკთა ნაკრები (უკონკურსოდ)

**B ჯგუფი** ვიტ ჯორჯია (საქართველო), ფახთაქორი (უზბეკეთი), კაუნასი (ლიტვა), დორდოი (ყირგიზეთი)

**C ჯგუფი** სკონტო (ლატვია), რეგარი (ტაჯიკეთი), პიუნიკი (სომხეთი)

**D ჯგუფი** შერიფი (მოლდოვა), ნებითჩი (თურქმენეთი), ნეფთჩი (აზერბაიჯანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ იგონებთ ტყუილებს, ნუ შემიშლით ხელს

## სანდრო იაშვილი: ჩემი სახელის შელახვის უფლებას არავის მივცემ



სანდრო იაშვილის ჭანი ბარე ორ კაცს ეყოფა

თუ ვინმეს ქართული ფეხბურთის სვე-ბედი და მომავალი აინტერესებს, 19 წლის სანდრო იაშვილს ყველა იცნობს – ეს ნიჭიერი ფორვარდი თბილისის „დინამომ" სეზონი დაწყებული რომ იყო, მაშინ გაანათხოვრა „თბილისში". იაშვილმა „თბილისში" რამდენიმე მატჩი ძალიან ძლიერად ითამაშა და კარგი მონაცემების ფეხბურთელი რომაა, ერთხელაც დაანახვა ყველას. თუმც „თბილისში" გატარებული სამი თვე მთლად იოლი არ ყოფილა მისთვის... იაშვილზე ჩვენს საფეხბურთო წრეებში ბევრს რომ ლაპარაკობენ, ესეც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ის მართლაც გამორჩეული ახალგაზრდა ფეხბურთელია...

— რა შეგძინა „თბილისში" გატარებულმა სამმა თვემ?

— სანამ „თბილისში" მივიდოდი, საზარდულის ტრავმა მქონდა და ამ გუნდში მისვლით ჩემი კონდიციების შენარჩუნება შევძელი, შევიძინე ძალიან საჭირო გამოცდილებაც. ნებისმიერ განვლილ ეტაპს დადებითის გარდა უარყოფითიც აქვს, მაგრამ რაც გავაკეთე, იმას აზრი ნამდვილად ჰქონდა — ფეხბურთის გარდა ცხოვრებაშიც ბევრი რამ შემძინა „თბილისში" თამაშმა.

— როცა „თბილისს" გიორგი დევდარიანი წვრთნიდა, თქვა, იაშვილს მარტო ჩემთან კი არა, ყველა მწვრთნელთან ჰქონდა პრობლემებიო — მაინც რაშია საქმე, რატომ ვერ აგეწყო ურთიერთობა მწვრთნელებთან?

— ყველამ უნდა გაიგოს, რომ მე არც ერთ მწვრთნელთან პრობლემა არ მქონია და ის, რომ მე მწვრთნელებისთვის პრობლემას წარმოვადგენ, მოგონილია. თუ ერთხელ სადღაც დავაგვიანე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელებთან პრობლემები მაქვს.

— ყველაფერი იმის ბრალი ხომ არ არის, რომ ჯერაც არ ხარ ბოლომდე ჩამოყალიბებული სპორტსმენად?

— საქართველოში არსებულ საერთო სიტუაციას და პირობებს თუ გავითვალისწინებთ, უკვე ვარ ჩამოყალიბებული სპორტსმენი და თუ აქედან წავალ, რა რეჟიმი და მოთხოვნები იქნება საჭირო, ყველაფერს სათანადოდ შევეწყობი.

— „თბილისიდან" წასვლას ხომ არ აპირებ? კლუბი „დინამოსთან" შენი იჯარის გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებას არ აწარმოებს?

— გაურკვევლობაა, ამ საკითხზე ჯერ არავინ დამლაპარაკებია „თბილისიდან". ვიცი მხოლოდ ის, რომ ლუის ცაკარიასს ჩემი „თბილისში" ყოფნა სურს.

— „თბილისში" სტაბილურად არ გითამაშია — ძალიან კარგად დაიწყე, მერე თამაშს უკელი, პირველი ეტაპის ბოლოს კი კვლავ კარგად ათამაშდი — რას დააბრალებდი ამას?

— ტრავმის გამო სეზონს სრულფასოვნად მომზადებული ვერ შევხვდი, საზარდულს რომ ვმკურნალობდი, ამით, ფაქტობრივად, თვენახევარი გამიცდა — არასტაბილურობაც ამის ბრალი იყო.

— ახალგაზრდულ ნაკრებში ერთი მატჩი ითამაშე, როცა უკრაინასთან სტუმრად 0:6 დამარცხდით, მომდევნო მატჩში დანიასთან კი გოჩა ტყებუჩავამ აღარ გამოგიძახა — ეს რისი ბრალი უნდა იყოს?

— არ ვიცი, ეს ალბათ მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ. ვფიქრობ, ჩემზე რაღაც-რაღაცებს რომ ლაპარაკობენ, ამან იქონია გავლენა იმაზე, რომ ნაკრებში აღარ გამომიძახეს.

— ასეა თუ ისე, სანდრო იაშვილზე კვლავ ბევრს ლაპარაკობენ, მეტწილად იმას, რომ იაშვილი ნიჭიერია, მაგრამ ხასიათის გამო პრობლემები ექმნება...

— მაგას ჯობია, ჩემზე საერთოდ არაფერი თქვან — ზოგიერთი საერთოდ არ მიცნობს და ჩემზე ბევრს ლაპარაკობს, თანაც ასეთები ბევრნი არიან.

— როგორ ფიქრობ, მაინც რაშია შენი ხასიათის თავისებურება?

— მინდორზე ემოციური ვარ, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ასეთი ემოციური ფეხბურთელები უფრო მეტნი არიან, ვიდრე მშვიდები — ფეხბურთს ემოციის გარეშე მე ვერ ვითამაშებ. სხვა რამ უჩვეულო კი ხასიათში ნამდვილად არ მაქვს.

— გყავს ისეთი ვინმე, ვინც ყოველთვის გვერდში გიდგას როგორც ფეხბურთელის, ვინც პროფესიულ რჩევებს გაძლევს?

— ასეთი მამაჩემია, ის საფეხბურთო ამბებში ყოველთვის გვერდში მიდგას. ისე კი, თუ მიზანი დასახული გაქვს და ამ მიზნისთვის მთელი ძალით იბრძვი, ბევრის რჩევა და დარიგება საჭირო არ არის, ყოველთვის და ყველაფერზე შენი აზრი უნდა გქონდეს. ფეხბურთის თამაში მინდა და ყველას ვთხოვ, რომ ჩემზე უაზრო, უსაფუძვლო საუბრებით ხელს ნუ შემიშლიან.

— ამ ეტაპზე „თბილისში" დარჩენა გირჩევნია თუ უცხოეთში წასვლა?

— თუ შემოთავაზება იქნება, წავალ.

— კარგ უცხოურ გუნდში გადასვლას ალბათ ისიც უნდა, რომ ნაკრებში ითამაშო...

— საქართველოში თამაშით ნაკრებში არ მიწვევენ და აქ რაღაზე უნდა დავრჩე?! ჩემი სახელი ყველაფერს მირჩევნია და არავის მივცემ ჩემი სახელის შელახვის უფლებას.

**დავით თავართქილაძე**

# ბათუმს იმედს აძლევენ და შტატებს ართმევენ

*გუშინ „ბათუმის" ხელმძღვანელობა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ მიიღო. კლუბის უფროსობისგან ვარშალომიძესთან შეხვედრაზე იყო ყველა, მთლად უფროსის, პრეზიდენტ რევაზ ჩელებაძის გარდა, რომელმაც დიდთოვლობის გამო ბათუმს ჩასვლა დააგვიანა...*



ნაკრების მეკარე აკაკი დევაძეს გუნდის საქმე ჯერჯერობით გასარკვევი აქვს

შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, „ბათუმის" ამჟამინდელ კრიზისსა და პერსპექტივაზე ილაპარაკეს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კლუბის მესვეურები აჭარის მეთაურისგან დაიმედებულები გამობრუნდნენ. ვარშალომიძე მათ დახმარებას დაჰპირდა და იქვე ჩემპიონატის მეორე ეტაპის საკლუბო ხარჯთაღრიცხვა და შტატების შემცირება მოსთხოვა.

მართალია, შემცირებაში ფეხბურთელები არ მოჰყვებიან, მაგრამ, სადღეისო ვითარების გათვალისწინებით, ისინი თავად აპირებენ „ბათუმის" დატოვებას. და არა ერთი და ორი ფეხბურთელი, თურმე ნახევარ გუნდს ჩემოდანი უკვე ჩალაგებული აქვს.

„ბათუმში" უკვე აღარც მეკარე აკაკი დევაძისა და სხვა ფეხბურთელების დამატებაზე ლაპარაკობენ. მეტიც, ამბობენ, დევაძისა და სხვათა გადმობირება გამორიცხულიც კი არისო. არადა, შეგახსენებთ, ეს სეზონი დევაძეს სწორედ „ბათუმში" უნდა დაეწყო, მეკარე თბილისის „სპარტაკიდან" „ბათუმმა" ინათხოვრა, მაგრამ მერე უეფას თასზე მოთამაშე „თბილისს" ევროსარბიელზე დისკვალიფიცირებულ გრიშიკაშვილში პირველი ეტაპის ბოლომდე გაუცვალა. როგორც თავად კაკომ გვითხრა, ის არათუ „ბათუმში", „თბილისში" დარჩენასაც აღარ აპირებს.

**კობა ინასარიძე**

გუშინ „თბილისის" მესვეურები შეიკრიბნენ და ითათბირეს. გუნდს ახლა შვებულება აქვს და მეორე ეტაპისთვის 4 იანვრიდან შეიკრიბება — ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, ხოლო 10-დან ვარჯიშს დაიწყებენ. „თბილისი" თბილისში 17 იანვრამდე იქნება, მერე კი ანთალიაში გააგრძელებს მზადებას, სადაც 4-5 საკონტროლო მატჩს გამართავს — თურქეთში „თბილისი" თებერვლის დამდეგამდე დარჩება.

„თბილისიდან" ჯერ არავინ წასულა, თუმც შემოთავაზებები არის და შესაძლოა, წლის ბოლოს რაიმე ტრანსფერიც შედგეს. არ არის გამორიცხული, რომელიმე თბილისელმა უცხოეთსაც მიაშუროს.

რაც შეეხება თბილისელთა მეკარე აკაკი დევაძეს, ის გუნდმა „ბათუმიდან" ინათხოვრა და სანაცვლოდ აჭარელებს სოსო გრიშიკაშვილი დაუთმო — ამ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და დევაძე „თბილისიდან" მიდის, ხოლო გრიშიკაშვილი ბრუნდება.

# თბილისი ანთალიაში, ცაკარიასი გერმანიაში

## ტრანსფერები საახალწლოდ იქნება

„თბილისის" მთავარი მწვრთნელი ლუის ცაკარიასი და მისი თანაშემწე გოჩა თამაზაშვილი კი ხვალ გერმანიაში წავლენ და შვებულებასაც იქ გაატარებენ.

**დავით თავართქილაძე**

# ქართლ-კახეთი, იმერეთი...

## ზესტაფონის ტრანსქართული ტრანსფერები

„ზესტაფონში" რომ დიდი ამბებია, არაერთხელ გაუწყეთ. ისიც გამცნეთ, სხვა უამრავ ფეხბურთელთან ერთად იმერლები გორის „დილას" მცველ გიორგი ბალაშვილის გადაბირებითაც რომ არიან დაინტერესებულნი. ჩვენც ამ ამბის გადამოწმება გადავწყვიტეთ და ბალაშვილს გუშინ შევეხმიანეთ.

— ასეთი ხმები ჩემამდეც მოვიდა. მითხრეს, „ზესტაფონი" შენს წაყვანას ცდილობსო, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერი ყოფილა. ვნახოთ, სეზონი ეს-ესაა დასრულდა და მოლაპარაკებაც ალბათ მოგვიანებით დაიწყება. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით — გვითხრა გიორგიმ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ზესტაფონურ სატრანსფერო სიას ახლახან საქართველოს ნაკრებისა და „თბილისის" მეკარე აკაკი დევაძეც შეემატა.

ზესტაფონური სატრანსფერო სერიალის მომდევნო გმირებს „სარბიელის" უახლოეს ნომრებში გაგაცნობთ.

**კახა შალამბერიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XVII ტური

**ევერტონი 1:0 ლივერპული**

1:0 კარსლი (68)
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, სტაბსი, ვეირი, პისტონე, კარსლი, ოსმანი (ს. უოტსონი 87), გრაველსენი (იობო 83), ჩედვილი, კილბეინი, მ. ბენტი (დ. ფერგიუსონი 76)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ლივერპული: კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ს. დიაო (ხაბი ალონსო 78), ჰამანი (ა. ნუნიესი 66), ჯერარდი, კიუელი, სინამა-პონიოლი (ჯ. ტრაორე 75), მელორი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ჰიბერტი, დიაო, რიისე, ხოსემი, ფერგიუსონი
მსაჯი: ბენეტი
40 552 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:1 პორტსმუთი**

1:0 ბოიერი (3), 1:1 სტოუნი (30)
ნიუკასლი: გივენი, ს. ტეილორი, ა. ჰიუზი, ბრამბლი, ბერნარი, ჯენასი, კ. დაიერი, ბოიერი (ამბროზი 71), მილნერი (რობერი 57), ბელამი, ამეობი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
პორტსმუთი: ეშდოუნი, გრიფინი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, პრიმუსი, სტოუნი, ფეიე, გ. ონილი, ბერგერი, ლუა ლუა (ა. სისე 87), ფულერი (მეთიუ ტეილორი 84)
მწვრთნელი: ველიმირ ზაეჩი
გაფრთხილება: ს. ტეილორი, სტოუნი, გრიფინი
მსაჯი: რაილი
51 480 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 კანუტე (57)
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, მილსი, დისტინი, რ. დანი, ჯორდანი, შ. რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი, ჯ. ბარტონი, სიბიერსკი, ფაულერი (ანელკა 71), მაკენი (ბ. რაიტ-ფილიპსი 70)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, პამარო, ნაიბეტი (ე. გარდნერი 46), ლ. კინგი, ატუბა, მ. ბრაუნი, პ. მენდეში (ს. კელი 46), კარიკი, მ. რიკეტსი (რედნაპი 81), კანუტე, რობი კინი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: ჯორდანი, ნაიბეტი, კელი
მსაჯი: გალაჰერი
45 805 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:1 ჩარლტონი**

0:1 ჰოლანდი (30)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ბ. ჰაასი, შიმეკა, პარსი, კლემენტი, კონტრა (კუმასი 55), ენდი ჯონსონი, ჯ. გრინინგი, გერა (ჰორსფილდი 88), კანუ, ერნშოუ
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
ჩარლტონი: კაილი, ლ. იანგი, ჯ. ფორჩუნი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, რომედალი (კონჩესკი 65), კიშიშევი, ჰოლანდი, მერფი, ტომა (ბ. ჰიუზი 85), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მსაჯი: ფოი
24 697 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 2:2 მიდლსბრო**

1:0 ფილიპსი (45), 2:0 კრაუჩი (64), 2:1 ჰიგინბოთემი (89ს.კ.), 2:2 დოუნინგი (90)
საუთჰემპტონი: ნიემი, ნილსონი, ლუნდეკვამი, იაკობსონი, ჰიგინბოთემი, ფ. ფერნანდესი (ტელფერი 46), დელაპი, ა. სვენსონი, ლე სო, ფილიპსი, კრაუჩი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
მიდლსბრო: შვარცერი, მაკმაჰონი (ნემეტი 60), კ. კუპერი, საუთგეიტი, რაიციგერი, პარლოუ (ჟობი 83), ბოატენგი, ზენდენი, დოუნინგი, ვიდუკა, ჰასელბაინკი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: დელაპი, ბოატენგი
მსაჯი: ბერი
29 018 მაყურებელი

# შობისწინა მეხთატეხა



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ჩელსი. ეიდურ გუდიონსენის თავურმა „ჰაიბერიზე“ ნაღდი ფრე გამოაცხო

**კრისტალ პალასი 0:0 ბლექბერნი**

კრისტალ პალასი: კირალი, ბოისი, ჰალი, პოპოვიჩი, გრენვილი, რუტლეჯი (ტორშელე 82), რიიჰილაჰტი (ს. ენდრიუსი 53), ბ. უოტსონი, მ. ჰიუზი, კოლკა (ლაკისი 73), ენდრიუ ჯონსონი
მწვრთნელი: იან დოუვი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, ტოდი, დ. მატეო, ს. რიდი (დ. ტომპსონი 71), ფლიტკროფტი, ბ. ფერგიუსონი, ემერტონი, დიკოვი, ბოტროიდი (სტიდი 80)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ჰიუზი, ტორშელე, დიკოვი, ტომპსონი, ენდრიუსი, ტოდი, ტომპსონი
გაძევება: ტომპსონი (88)
მსაჯი: ვაილი
22 010 მაყურებელი

**ნორვიჩი 3:2 ბოლტონი**

1:0 სვენსონი (19), 1:1 ოკოჩა (20პ), 1:2 იერო (23), 2:2 ჰაკერბი (69პ), 3:2 სვენსონი (84)
ნორვიჩი: რ. გრინი, ედვორთი, დოჰერტი, ფლემინგი, ჩარლტონი, მ. იონსონი (მაკვეიგი 79), ჰელვეგი, საფრი, ბენტლი, ჰაკერბი, მ. სვენსონი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, იერო, ჯაიდი, ნგოტი (ჟულიო სეზარი 90), იანაკოპულოსი, კამპო (კ. ნოლანი 70), სპიდი, ოკოჩა (ლ. ფერდინანდი 85), ჰ. პედერსენი, კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: სვენსონი, ნგოტი, კამპო, ჰანტი
მსაჯი: ნაითი
23 549 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:2 ბირმინგემი**

0:1 მორისონი (9), 0:2 დანი (18), 1:2 ბერი (90)
ასტონ ვილა: სორენსენი, ბერი, დილანი, მელბერგი, ჯ. სამუელი, ს. დევისი, დე ლა კრუზი, ბ. მაკკანი, სოლანო, პ. ანხელი, კ. კოული
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, აპსონი, კანინგემი, ტებილი, კარტერი, დ. დანი (ჯ. გრეი 59), დ. ჯონსონი, ლაზარიდისი (კლეპამი 90), სევიჯი, ჰესკი, მორისონი (ანდერტონი 82)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: მელბერგი, ჯონსონი, დანი, ტებილი, ბერი, კარტერი
მსაჯი: დანი
41 329 მაყურებელი

**არსენალი 2:2 ჩელსი**

1:0 ანრი (2), 1:1 ტერი (17), 2:1 ანრი (29), 2:2 გუდიონსენი (46)
არსენალი: ალმუნია, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, ფაბრეგასი, ფლამინი, რეიესი (კლიჩი 82), პირესი, ანრი, ბერხკამპი (ვან პერსი 82)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ (დროგბა 46), ტერი, გალასი, ტიაგუ (ბრიჯი 46), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, რობენი, გუდიონსენი (პარკერი 77)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: რობენი, დროგბა, ლამპარდი, კოული
მსაჯი: პოლი
38 153 მაყურებელი

**ფულემი — მანჩესტერ იუნ.**

*დღეს გაიმართება*

თქვენ იძახეთ, რომ „ევერტონს“ ვარსკვლავი არა ჰყავს და ვინც ჰყავდა ისიც გაყიდაო, „ევერტონი“ კი მეორე ადგილზეა. შაბათს დევიდ მოიესის გუნდმა ლი კარსლის მოხერხებული დარტყმით დაამარცხა „ლივერპული“, რიგით მე-200 მერსისაიდულ დერბიში, თანაც ისე, რომ 1997 წლის შემდეგ პირველად მოუგო მარად მეტოქეს.

„ევერტონს“ ჰყავს ამომავალი ვარსკვლავი ლიონ ოსმანი და ძალიან ბევრი გამოცდილი, ღონიერი ფეხბურთელი, რომლებიც საუცხოოდ ასრულებენ იმას, რაც დაუვალებია მენეჯერ დევიდ მოიესს. გუშინწინდელ შეხვედრაში გუნდებს მთელი თამაშის მანძილზე თითო მომენტი და თითო კარისწინა ზედახორა ჰქონდათ. ოთხშაბათს ხისტ თამაშში ერთი გოლი შეიქნა საკმარისი, რომ გამარჯვებული გამოვლენილიყო. მოიესმა კი თქვა: „შარშან მოსაგებ თამაშებს ვთამაშობდით. წლეულს ძალიან მოგვწონს, რომ გაგვაქვს და არ ვუშვებთ. დაცვაში ძალიან კარგად ვითამაშეთ“.

ფრედი კანუტემ კი „ტოტენჰემს“ ზედიზედ მესამე თამაში მოაგებინა თავისი ასევე ერთადერთი გოლით მანჩესტერის „სიტის“ მინდორზე. მენეჯერმა მარტინ იოლმა გვარიანად შეახურა ფრანგი „ლივერპულთან“ სათასო მატჩის შემდეგ და ბიჭმაც ფხა გამოაჩინა. „სიტი“ უფრო პირველ ნახევარში ვარგოდა, რამაც კევინ კიგანს ათქმევინა: „ძალიან გამიცრუვა იმედი ამ თამაშმა. რაც დრო გადიოდა, უარესად ვთამაშობდით“. ბედი არ გინდა? უკვე მეორე წუთზე „სიტი“ პენალტს ითხოვდა.

გვარიანი ამბავი იყო საუთჰემპტონის „სენტ მერიზე“, სადაც სამენეჯერო დებიუტი ჰქონდა ნაცად ჰარი რედნაპს და სადაც სამხრეთელები მთელი თამაშის განმავლობაში უგებდნენ „მიდლსბროს“, ბოლო წუთს კი ორი გოლი გაუშვეს და ქულასლა დასჯერდნენ. 39-ე წუთზე დენი ჰიგინბოთემმა ავტოგოლით მისცა იმედი „ბოროს“, მერე კი სტიუარტ დაუნინგმა ისეთი დაჰკრა, რომ ძია ჰარის მოსვლა გააუფერულა. ტყუილად არ უმიზნებს ამ დაუნინგს სერ ალექს ფერგიუსონი, გიგზის შემცვლელად მინდაო და სვენ გორან ერიკსონიც ტყუილად არ დაიარება „ბოროს“ თამაშებზე.

ნორვიჩში კი სემ ალარდაისმა სულ ნაცარქექიები და საბრალონი ეძახა თავის „ბოლტონს“. „ნორვიჩისთვის“ კი ეს დიდი დღე იყო, რახან გაიმარჯვა და ოდნავ მაინც მოშორდა გასავარდნ ზონას. მათიას სვენსონის დუბლმა „ქაროუ როუდზე“ დიდი ზეიმი გამოიწვია, დიდმა სემმა კი თქვა: „წინა მარცხი მსაჯს დავაბრალე, მაგრამ ახლა ვერავის ვერაფერს დავაბრალებ. სამი გოლი გავუშვით, ორი გავიტანეთ, მაგრამ ეს პირწმინდა წაგება იყო“.

მაგარი თამაში სხვაც იყო, თუმც „არსენალ“ —„ჩელსიმ“ ყველა გადაფარა მნიშვნელობით. 2:2 „ჰაიბერიზე“ და არაადამიანური სისწრაფე, ღონე და ბრძოლა ჩემპიონსა და ამჟამინდელ ლიდერს შორის. „მეთოფენი“ ორჯერ იგებდნენ ტიერი ანრის გოლებით, „ჩელსი“ კი ორჯერვე თავურებით წამოეწია, ჯონ ტერისა და ეიდურ გუდიონსონის სიჩაუქის წყალობით. ანრის პირველი გოლი ლამაზი იყო, მეორე ეშმაკური (მეტოქეს კედლის დაყენება არ აცალა), ხიფათი კი ორივე კართან თანაბარძალოვანი იგრძნობოდა, რახან ასეთ გუნდებს სხვანაირი თამაში არც გამოუვიდოდათ. ფრე ეგებ უფრო ჟოზე მაურინიუს აწყობდა, არსენ ვენგერს კი არაფრით. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ფრეზე თამაში ამ მეხთატეხაში არ იყო. [illegible] გალეულ მატჩში [illegible] ოთხჯერ [illegible] ბის პროცენტი 51-44 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ, კარში ორივემ 10-10-ჯერ დაარტყა და საერთოდ, ეს მთავარი შობისწინა თამაში ერთ-ერთი უნამდვილესი ფრე იყო.

„ჩელსი“ პირველზე დარჩა, „არსენალი“ მესამეზე ჩავარდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 17 | 12 | 4 | 1 | 33:8 | 25 | 40 | 8 | 6 | 2 | 0 | 15:3 | 12 | 20 | 9 | 6 | 2 | 1 | 18:5 | 13 | 20 |
| 2 ევერტონი | 17 | 11 | 3 | 3 | 21:14 | 7 | 36 | 9 | 6 | 1 | 2 | 11:9 | 2 | 19 | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 5 | 17 |
| 3 არსენალი | 17 | 10 | 5 | 2 | 44:22 | 22 | 35 | 9 | 5 | 4 | 0 | 25:11 | 14 | 19 | 8 | 5 | 1 | 2 | 19:11 | 8 | 16 |
| 4 მანჩესტერი | 16 | 8 | 6 | 2 | 22:10 | 12 | 30 | 8 | 5 | 3 | 0 | 12:3 | 9 | 18 | 8 | 3 | 3 | 2 | 10:7 | 3 | 12 |
| 5 მიდლსბრო | 17 | 8 | 5 | 4 | 29:22 | 7 | 29 | 8 | 4 | 3 | 1 | 13:9 | 4 | 15 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:13 | 3 | 14 |
| 6 ასტონ ვილა | 17 | 6 | 7 | 4 | 22:19 | 3 | 25 | 9 | 5 | 3 | 1 | 15:6 | 9 | 18 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:13 | -6 | 7 |
| 7 ლივერპული | 16 | 7 | 3 | 6 | 24:18 | 6 | 24 | 7 | 6 | 0 | 1 | 15:5 | 10 | 18 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:13 | -4 | 6 |
| 8 ჩარლტონი | 17 | 7 | 3 | 7 | 19:27 | -8 | 24 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 14 | 9 | 3 | 1 | 5 | 7:19 | -12 | 10 |
| 9 ბოლტონი | 17 | 6 | 5 | 6 | 26:25 | 1 | 23 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 14 | 9 | 2 | 3 | 4 | 14:17 | -3 | 9 |
| 10 პორტსმუთი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:23 | -1 | 22 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:11 | 4 | 16 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:12 | -5 | 6 |
| 11 ტოტენჰემი | 17 | 6 | 4 | 7 | 16:17 | -1 | 22 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:12 | -1 | 8 | 9 | 4 | 2 | 3 | 5:5 | 0 | 14 |
| 12 ნიუკასლი | 17 | 5 | 6 | 6 | 28:32 | -4 | 21 | 9 | 3 | 3 | 3 | 16:16 | 0 | 12 | 8 | 2 | 3 | 3 | 12:16 | -4 | 9 |
| 13 სიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:18 | 3 | 20 | 9 | 3 | 3 | 3 | 10:6 | 4 | 12 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:12 | -1 | 8 |
| 14 ბირმინგემი | 17 | 3 | 8 | 6 | 14:19 | -5 | 17 | 8 | 1 | 4 | 3 | 5:7 | -2 | 7 | 9 | 2 | 4 | 3 | 9:12 | -3 | 10 |
| 15 ფულემი | 16 | 5 | 2 | 9 | 18:27 | -9 | 17 | 8 | 3 | 0 | 5 | 8:15 | -7 | 9 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | -2 | 8 |
| 16 ნორვიჩი | 17 | 2 | 9 | 6 | 17:28 | -11 | 15 | 9 | 2 | 4 | 3 | 12:15 | -3 | 10 | 8 | 0 | 5 | 3 | 5:13 | -8 | 5 |
| 17 კრ. პალასი | 17 | 3 | 5 | 9 | 17:24 | -7 | 14 | 9 | 2 | 2 | 5 | 8:11 | -3 | 8 | 8 | 1 | 3 | 4 | 9:13 | -4 | 6 |
| 18 ბლექბერნი | 17 | 2 | 8 | 7 | 16:30 | -14 | 14 | 8 | 1 | 5 | 2 | 10:14 | -4 | 8 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:16 | -10 | 6 |
| 19 საუთჰემპტონი | 17 | 2 | 7 | 8 | 17:26 | -9 | 13 | 9 | 2 | 5 | 2 | 13:13 | 0 | 11 | 8 | 0 | 2 | 6 | 4:13 | -9 | 2 |
| 20 ვესტ ბრომვიჩი | 17 | 1 | 7 | 9 | 15:32 | -17 | 10 | 9 | 1 | 4 | 4 | 7:14 | -7 | 7 | 8 | 0 | 3 | 5 | 8:18 | -10 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 15 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 9 |
| პირესი (არსენალი) | 9 |
| ბაროში (ლივერპული) | 7 |
| ბელამი (ნიუკასლი) | 7 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 7 |
| გუდიონსენი (ჩელსი) | 7 |

### XVIII ტური

18-19-20 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ლივერპული | : | ნიუკასლი |
| ბირმინგემი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ტოტენჰემი | : | საუთჰემპტონი |
| ბლექბერნი | : | ევერტონი |
| ბოლტონი | : | სიტი |
| ჩელსი | : | ნორვიჩი |
| მანჩესტერი | : | კრ. პალასი |
| მიდლსბრო | : | ასტონ ვილა |
| პორტსმუთი | : | არსენალი |
| ჩარლტონი | : | ფულემი |

### ჩემპიონატი. XXIII ტური

**ბარნლი 2:0 პრესტონი**
1:0, 2:0 ბლეიქი (45, 85)

**კარდიფი 0:2 სანდერლენდი**
0:1 უიტიჰედი (67), 0:2 ლოურენსი (77)

**ქრიუ 3:0 პლიმუთი**
1:0 ლანტი (42), 2:0 ეშტონი (57), 3:0 დუმბე (80ს.კ.)

**დერბი ქაუნთი 3:0 ნოტინგემი**
1:0 სმიტი (4), 2:0, 3:0 რასიაკი (75, 89)

**ლესტერი 0:2 რედინგი**
0:1 სიდუელი (68), 0:2 ინგიმარსონი (82)

**მილუოლი 2:0 ბრაიტონი**
1:0 დობი (21), 2:0 აიფილი (78)

**ქუინზ პარკი 2:4 იფსვიჩი**
0:1 დე ვოსი (25), 1:1, 2:1 ფურლონგი (27, 30), 2:2 დ. ბენტი (58), 2:3 კურიე (72), 2:4 კუქი (77)

**როტერჰემი 2:2 შეფილდ იუნ.**
0:1 ტონგი (45), 0:2 შოუ (47), 1:2 სვეილზი (54), 2:2 მაკინტოში (71)

**სტოკი 1:0 ქოვენთრი**
1:0 აკინბაი (21)

**უოტფორდი 1:1 ვულვერჰემპტონი**
1:0 ჰელგუსონი (4), 1:1 ოლოფინჯანა (35)

**უიგანი 2:0 ჯილინგემი**
1:0 ელინგტონი (17), 2:0 მაკკალოხი (88)

**ვესტ ჰემი 1:1 ლიდსი**
1:0 ჩედვიკი (50), 1:1 ჰილი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 23 | 13 | 8 | 2 | 43:15 | 47 |
| იფსვიჩი | 23 | 13 | 7 | 3 | 46:27 | 46 |
| სანდერლენდი | 23 | 13 | 4 | 6 | 31:17 | 43 |
| რედინგი | 23 | 12 | 5 | 6 | 32:22 | 41 |
| ვესტ ჰემი | 23 | 11 | 5 | 7 | 29:25 | 38 |
| შეფილდი | 23 | 9 | 9 | 5 | 30:30 | 36 |
| ქუინზ პარკი | 23 | 11 | 3 | 9 | 34:35 | 36 |
| მილუოლი | 23 | 10 | 5 | 8 | 24:21 | 35 |
| სტოკი | 23 | 9 | 7 | 7 | 17:17 | 34 |
| დერბი ქაუნთი | 23 | 9 | 6 | 8 | 34:30 | 33 |
| ბარნლი | 23 | 8 | 9 | 6 | 20:19 | 33 |
| ქრიუ | 23 | 9 | 5 | 9 | 42:42 | 32 |
| ლესტერი | 23 | 7 | 10 | 6 | 26:22 | 31 |
| უოტფორდი | 23 | 6 | 11 | 6 | 29:25 | 29 |
| პლიმუთი | 23 | 8 | 5 | 10 | 28:31 | 29 |
| პრესტონი | 23 | 8 | 5 | 10 | 28:35 | 29 |
| ვულვზი | 23 | 7 | 7 | 9 | 32:32 | 28 |
| ლიდსი | 23 | 6 | 8 | 9 | 25:24 | 26 |
| ქოვენთრი | 23 | 6 | 8 | 9 | 28:36 | 26 |
| ბრაიტონი | 23 | 7 | 4 | 12 | 17:31 | 25 |
| კარდიფი | 23 | 5 | 7 | 11 | 24:31 | 22 |
| ნოტინგემი | 23 | 4 | 8 | 11 | 22:34 | 20 |
| ჯილინგემი | 23 | 5 | 3 | 15 | 19:42 | 18 |
| როტერჰემი | 23 | 1 | 9 | 13 | 15:32 | 12 |

### პირველი ლიგა. XXI ტური

ტრანმერი — ბორნმუთი 2:0; ბლეკპული — ბრისტოლი 1:1; ბრედფორდი — უოლსოლი 1:1; კოლჩესტერი — ჰალი 1:2; ჰარტლპული — სტოკპორტი 3:1; ლუტონი — პორტ ვეილი 1:0; დონსი — რექსემი 3:0; ოლდემი — ჰადერსფილდი 2:1; პიტერბრო — ჩესტერფილდი 1:2; შეფილდ უენსდი — ბრენტფორდი 1:2; სუინდონი — დონკასტერი 1:1; ტორკი — ბარნსლი 0:1

### მეორე ლიგა. XXI ტური

როვერსი — მაკლსფილდი 0:0; ბერი — საუთენდი 0:1; ჩესტერი — შრიუსბერი 1:1; დარლინგტონი — ლეიტონი 3:0; კიდერმინსტერი — როჩდეილი 2:1; ლინკოლნი — ჩელტენემი 0:0; მენსფილდი — რაშდენი 0:0; ნორთჰემპტონი — ბოსტონი 2:1; ნოტსი — უიკომბი 0:1; ოქსფორდი — კემბრიჯი 2:1; სკანთორპი — სუონსი 1:0; იოვილი — გრიმსბი 2:1

### კონფერენსლიგა. XXI ტური

ქროული — ბარტონი 4:0; დაგენემი — ალდერშოტი 3:0; ფარნბორო — ფორესტ გრინი 1:1; გრეივსენდი — ბარნეტი 1:3; ჰალიფაქსი — ქონვი 4:1; ლეი — აკრინგტონი 0:6; ნორსვიჩი — იორკი 3:0; სკარბორო — ჰერეფორდი 0:0; სტივენეიჯი — ექსეტერი 3:2; ტემუორთი — კარლაილი 1:0; უოქინგი — მორეკემბი 0:0

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XVII ტური

**შალკე 1:1 ფრაიბურგი**

1:0 კრსტაიჩი (24), 1:1 ანტარი (86)
შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, უდე კამპუისი, კ. პოულსენი, ლინკოლნი, ასამოა, სანდი (დ. როდრიგესი 75), აილტონი (ჰანკე 83)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ფრაიბურგი: გოლცი, ს. რიტერი, მოჰამადი, ჰერმელი, ბერნერი (კონდე 36), აოგო (ვილი 85), ანტარი, კრუპკე, კაირო, იაშვილი, ტანკო (სანუ 76)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: კონდე
მსაჯი: კემლინგი
60 433 მაყურებელი

**ბაიერნი 2:2 შტუტგარტი**

0:1 მაისნერი (29), 0:2 კურანი (65), 1:2 პიზარო (67), 2:2 გერერო (88)
ბაიერნი: კანი, კუფური (შვაინსტაიგერი 46), ლუსიო, დემიკელისი, რაუ (ჰაშემიანი 88), ჰარგრივსი, ბალაკი, ფრინგსი, ზე რობერტო (პ. გერერო 62), მაკაი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, შტრანცლი, მ. ბაბელი, დელპიერი, ჰინკელი, ტიფერტი, მაისნერი, ლამი, ა. გლები (ჰელდტი 77), კურანი, კაკაუ (მ. გერბერი 90)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: დემიკელისი, ლუსიო, ჰარგრივსი, მაისნერი, ბალაკი, კურანი
მსაჯი: ფანდელი
63 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 იანკერი (49), 1:1 ბოროვსკი (59)
ვერდერი: რაინკე, უმითი (კლასნიჩი 60), ისმაელი, პასანენი, სტალტერი, შულცი (ხარისტიასი 75), ფ. ერნსტი, მანინი, ბოროვსკი, კლოზე, ნ. ვალდესი
მწვრთნელი: თომას შაafi
კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, გრამოცისი, ჰერჩი, ლემბი, ჩატო, რიდლი, ენგელარდტი, კოსოვსკი, ზანდი (ნურმელა 90), ჰალილ ალტინტოპი (ტებერი 72), იანკერი
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ჰერჩი, სტალტერი, იანკერი, სტალტერი
გაძევება: სტალტერი (89)
მსაჯი: გრეფე
39 398 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:1 ჰერტა**

0:1 რაფაელი (54)
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი (ვალნერი 77), ლალა, დე გუცმანი, კრუპნიკოვიჩი, შრიოტერი (სტაინერი 65), თ. კრისტიანსენი, შტენდელი (იდრისუ 69)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, ვან ბურიკი, ფატი, ნ. კოვაჩი, ჯ. რეინა (ტ. მარქსი 42), ბაშთურქი, ჟილბერტო, მარსელინიო (ვიშნიარეკი 90), რაფაელი (ბობიჩი 90)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ლალა, კრუპნიკოვიჩი, კოვაჩი
მსაჯი: ტრაუტმანი
43 096 მაყურებელი

**ბოხუმი 1:2 ჰამბურგი**

0:1 ბარბარესი (26), 0:2 ბენჯამინი (34), 1:2 ბეკმანი (83)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი (მაიხელბეკი 71), კალა, კნავსი, პ. ბონიგი (მისიმოვიჩი 65), ცდებელი, ვოში, მალტრიცი (ედუ 46), ბეკმანი, ლოკვენცი, პ. მადსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ბრეჩკო, ბულარუზი, ვან ბუიტენი, კლინგბილი, იაროლიმი, ბენჯამინი, ბაინლიხი (რანი 90), დ. მორეირა (მაჰდავიკია 69), ბარბარესი (ბ. რაინჰარდტი 85), ტაკაჰარა
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: მალტრიცი, ვოში, ცდებელი, ბაინლიხი
მსაჯი: კირხერი
28 000 მაყურებელი

**ჰანზა 1:1 დორტმუნდი**

1:0 ოლბოკი (32), 1:1 კელი (40)
ჰანზა: შობერი, ტიკუზუ, მიორლე, ჰილი, მაული, პერსონი, პრიკა (არვიდსონი 82), რიდლევიჩი (მეგლე 75), თ. რასმუსენი, ოლბოკი (დ. რასმუსენი 90), დი სალვო
მწვრთნელი: იორგ ბერგერი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, დემელი, ბრჟენსკა, მადუნი (კ. მეცელდერი 68), დედე, კრუშკა (ოლისე 74), ს. კელი, კრინგე, როსიცკი, ევერტონი (სენესიე 86), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: პრიკა, დემელი, ევერტონი, ვაიდენფელერი
მსაჯი: ბრიხი
21 800 მაყურებელი

**მაინცი 0:1 ნიურნბერგი**

0:1 შროტი (10)
მაინცი: ვახე, ნიკოლიჩი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, ფ. გერბერი, ბაბაცი (ვებერი 46), და სილვა, ნ. ვაილანდი (კრამნი 69), ტაინერტი (იოვანოვიჩი 79), აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ნიურნბერგი: შეფერი, ს. მიულერი (ვიბლიშაუზერი 46), პაულუსი, მიკლი, ლ. მიულერი, ვაგეფელდი, კანტალუპი, ვიტეკი (აიდოო 89), მინტალი (კესლინგი 86), ბანოვიჩი, შროტი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: კრამნი, ვაგეფელდი
მსაჯი: იანსენი
20 300 მაყურებელი

**გლადბახი 1:1 ლევერკუზენი**

0:1 ბერბატოვი (58), 1:1 სვერკოში (69პ)
მიონხენგლადბახი: მელკა, პლეტჩი, შტრასერი, ციგე, კორჟინეცი (ჰაინცი 66), ულიხი, დემო, კლუგე, ბროიხი, სვერკოში (გაედე 90), ნოივილი (ვან ჰუტი 59)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, ფრაიერი (ბიროფკა 71), რამელო, ბაბიჩი, პლასენტე, ბ. შნაიდერი, ვორონინი (ფრანცა 66), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: შტრასერი, შნაიდერი, ბაბიჩი
მსაჯი: ვაგნერი
52 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 5:0 არმინია**

1:0 რიტერი (14), 2:0 კლიმოვიჩი (26), 3:0, 4:0 ბრდარიჩი (37, 40), 5:0 პეტროვი (67პ)
ვოლფსბურგი: იენჩი, თ. რიტერი, კიროგა, ჰოფლანდი (შნოორი 80), ვაიზერი, კარჰანი, ტიამი, დალესანდრო, ბრდარიჩი, კლიმოვიჩი (ტოპიჩი 78), მ. პეტროვი (მენსეგეში 70)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
არმინია: ჰაინი, ლენსე, ლანგკამპი (კ. დურო 72), გაბრიელი, შულერი, ფინკი, დამაიერი (ტრაიანოვი 72), ოვომოიელა, შკელა, ბაკლი (ჩერჩი 81), ფ. ვატა
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: ვაიზერი, ჰოფლანდი, ლენსე, ოვომოიელა
მსაჯი: ფროილიხი
22 000 მაყურებელი

# პერშელი მაშველები

## შალკე პირველმა მეორეზე დატოვა



REUTERS გელზენკირხენიდან

შალკე — ფრაიბურგი. მლადენ კრსტაიჩის გოლი გელზენკირხენელებს საპირველადგილოდ არ ეყოთ

პირველი წრე მიილია და ბუნდესლიგა 21 იანვრამდე დაგვემშვიდობა, ზამთრის ჩემპიონი კი მიუნხენის „ბაიერნი“ გახდა პაულო გეროს გვიანი გოლის წყალობით. ყამაწვილმა პარაგვაელმა ამ სეზონში არაერთხელ გაუმართლა ფელიქს მაგათს, როდესაც შეცვლაზე შესულს მატჩის ბედის გადამწყვეტი გოლები გაჰქონდა. ამჯერადაც ასე მოხდა. შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გერერომ „შტუტგარტთან“ გაათანაბრა.

ზამერის შეგირდები პირველ ტაიმში მასპინძლებს აშკარად სჯობდნენ და თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში ანგარიშიც გახსნეს. კუთხურიდან ჩაბზრიალებულ ბურთს სილვიო მაისნერმა თითქმის კარის ხაზთან დაუხვედრა ფეხი და ბადეში შეაბრძანა.

შესვენების შემდეგ კევინ კურანიმ კანის შეცდომით ისარგებლა — მეკარემ უშნოდ მოიგერია ბურთი, რომელსაც კურანიმ მიუსწრო და წამოწოლილ ოლივერ კანს გაუტანა.

„ბაიერნმა“ კლაუდიო პიზაროს ჯადო-დარტყმით უმალ ერთი გაქვითა, მერე კი მისმა თანამემამულე გერერომ იხსნა „ბაიერნი“. ასე რომ, ფელიქს მაგათი პერუელთა გოლებს უნდა უმადლოდეს მშვიდად გამოზამთრებას.

„იღბალი აშკარად ჩვენს მხარეს იყო — თქვა მაგათმა — თუმც ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ“.

გელზენკირხენის „შალკეს“ ურეალურესი შანსი ჰქონდა ცხრილის თავში მოქცევისა, მაგრამ „ფრაიბურგთან“ მალევე დაწინაურებულ მასპინძლებს მატჩის ბოლოს ლიბანელმა როდა ანტარმა გაუტანა და ორი ქულა დააკარგვინა. „ძალიან სამწუხაროა — დაიჩივლა რალფ რანგნიკმა — თავიდანვე ბევრი კარგი მომენტი გავანიავეთ, ზოგადად კი „შალკემ“ ჩვეულად ვერ ითამაშა“. გელზენკირხენის „შალკესთვის“ ეს სეზონში პირველი ფრე გამოდგა.

სასწაული მოხდა და როსტოკის „ჰანზამ“ შინ პირველი ქულა აიღო. იორგ ბერგერის გუნდი დორტმუნდის „ბორუსიას“ დაუზავდა, არადა, მარკუს ოლბოკის გოლით იგებდა. სებასტიან კელმა პირველი ტაიმის მიწურულს გაათანაბრა.

„ვალენსიასთან“ ნაბრძოლი ბრემენის „ვერდერი“ „კაიზერსლაუტერნს“ ვეღარ გაუმკლავდა. სტუმრები კარსტენ იანკერის თავით გატანილი გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ ივან კლასნიჩმა გაქვითა.

„ნიურნბერგმა“ ერთი კვირის წინ შინ „ბაიერნს“ აართვა ქულა, ამჯერად კი სტუმრად „მაინცს“ მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ მთავარმეგოლე მარეკ მინტალი აკლდა. ივიცა ბოვიჩის ჩაწოდებულ ბურთს მარკუს შორტმა თავი საგოლედ დაუხვედრა და სეზონში „ნიურბერგის“ მეხუთე გამარჯვება გამოჩარხა.

ბერლინის „ჰერტამ“ ნანდო რაფაელის ბრწყინვალე გოლით „ჰანოვერს“ სტუმრად მოუგო. რაფაელმა ბურთი მკერდიდან ფეხს გადაულოცა და მასპინძელთა კარში შეჭედა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 17 | 10 | 4 | 3 | 33:20 | 13 | 34 | 9 | 6 | 2 | 1 | 19:8 | 11 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:12 | 2 | 14 |
| 2 შალკე | 17 | 11 | 1 | 5 | 26:21 | 5 | 34 | 9 | 6 | 1 | 2 | 17:15 | 2 | 19 | 8 | 5 | 0 | 3 | 9:6 | 3 | 15 |
| 3 შტუტგარტი | 17 | 9 | 4 | 4 | 32:19 | 13 | 31 | 8 | 7 | 0 | 1 | 22:6 | 16 | 21 | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | -3 | 10 |
| 4 ვოლფსბურგი | 17 | 10 | 0 | 7 | 32:26 | 6 | 30 | 9 | 7 | 0 | 2 | 24:9 | 15 | 21 | 8 | 3 | 0 | 5 | 8:17 | -9 | 9 |
| 5 ვერდერი | 17 | 8 | 4 | 5 | 36:19 | 17 | 28 | 9 | 4 | 3 | 2 | 16:9 | 7 | 15 | 8 | 4 | 1 | 3 | 20:10 | 10 | 13 |
| 6 ჰერტა | 17 | 7 | 7 | 3 | 28:15 | 13 | 28 | 8 | 2 | 5 | 1 | 14:7 | 7 | 11 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:8 | 6 | 17 |
| 7 ჰანოვერი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:16 | 8 | 28 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:5 | 9 | 17 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | -1 | 11 |
| 8 ლევერკუზენი | 17 | 7 | 5 | 5 | 28:25 | 3 | 26 | 8 | 6 | 1 | 1 | 20:11 | 9 | 19 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 9 ჰამბურგი | 17 | 8 | 1 | 8 | 30:25 | 5 | 25 | 8 | 4 | 0 | 4 | 14:13 | 1 | 12 | 9 | 4 | 1 | 4 | 16:12 | 4 | 13 |
| 10 არმინია | 17 | 7 | 3 | 7 | 19:23 | -4 | 24 | 8 | 3 | 3 | 2 | 7:7 | 0 | 12 | 9 | 4 | 0 | 5 | 12:16 | -4 | 12 |
| 11 მაინცი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:27 | -3 | 22 | 8 | 5 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 17 | 9 | 1 | 2 | 6 | 12:21 | -9 | 5 |
| 12 ნიურნბერგი | 17 | 5 | 6 | 6 | 28:26 | 2 | 21 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:8 | 4 | 10 | 9 | 3 | 2 | 4 | 16:18 | -2 | 11 |
| 13 ლაუტერნი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:26 | -4 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 13:10 | 3 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:16 | -7 | 5 |
| 14 დორტმუნდი | 17 | 4 | 6 | 7 | 17:22 | -5 | 18 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 9 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 |
| 15 გლადბახი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:30 | -10 | 17 | 9 | 4 | 2 | 3 | 15:13 | 2 | 14 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:17 | -12 | 3 |
| 16 ბოხუმი | 17 | 3 | 5 | 9 | 23:35 | -12 | 14 | 9 | 2 | 3 | 4 | 14:16 | -2 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:19 | -10 | 5 |
| 17 ჰანზა | 17 | 2 | 5 | 10 | 13:36 | -23 | 11 | 9 | 0 | 1 | 8 | 5:25 | -20 | 1 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:11 | -3 | 10 |
| 18 ფრაიბურგი | 17 | 2 | 5 | 10 | 14:38 | -24 | 11 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:16 | -8 | 6 | 9 | 1 | 2 | 6 | 6:22 | -16 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 13 |
| ბაკლი (არმინია) | 10 |
| კლოზე (ვერდერი) | 10 |
| ნოივილი (მიონხენგლადბახი) | 9 |
| 1988 | ნასიონალი (ურუგვაი) | 7:6პენ. (2:2) | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | |
| 1989 | მილანი (იტალია) | 1:0დ.დ. (0:0) | ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) | |
| 1990 | მილანი (იტალია) | 3:0 | ოლიმპია (პარაგვაი) | |
| 1991 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 3:0 | კოლო კოლო (ჩილე) | |
| 1992 | სან პაულუ (ბრაზილია) | 2:1 | ბარსელონა (ესპანეთი) | |
| 1993 | სან პაულუ (ბრაზილია) | 3:2 | მილანი (იტალია) | |
| 1994 | ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 2:0 | მილანი (იტალია) | |
| 1995 | აიაქსი (ჰოლანდია) | 4:3პენ. (0:0) | გრემიო (ბრაზილია) | |
| 1996 | იუვენტუსი (იტალია) | 1:0 | რივერ პლეიტი (არგენტინა) | |
| 1997 | ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) | 2:0 | კრუზეირო (ბრაზილია) | |
| 1998 | რეალი (ესპანეთი) | 2:1 | ვასკუ და გამა (ბრაზილია) | |
| 1999 | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 1:0 | პალმეირასი (ბრაზილია) | |
| 2000 | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 2:1 | რეალი (ესპანეთი) | |
| 2001 | ბაიერნი (გერმანია) | 1:0დ.დ. (0:0) | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | |
| 2002 | რეალი (ესპანეთი) | 2:0 | ოლიმპია (პარაგვაი) | |
| 2003 | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 1:1პენ. (3:1) | მილანი (იტალია) | |

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელებმა „აიაქსმა" (1971 და 1973 წლებში), „ლივერპულმა" (1977) და „ნოტინგემ ფორესტმა" (1979) თამაშზე უარი თქვეს, რის გამოც ისინი ფინალისტებმა შეცვალეს
1993 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ ფრანგულ „მარსელს" უეფამ თამაშის უფლება ჩამოართვა

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XVI ტური

**როდა 3:1 როზენდალი**

1:0 კრისტიანო (18), 2:0 კონე (25), 2:1 [illegible] (31), 3:1 [illegible] (81)

**დენ ბოსხი 0:2 ვალვაიკი**

0:1 შუგენდორპი (32), 0:2 ი. იანსენი (85)

**ტილბურგი 0:0 უტრეხტი**

**ალკმაარი 5:0 ტვენტე**

1:0 მეერდინკი (6), 2:0 ტუზანი (38ს.კ.), 3:0 კ. პერესი (59), 4:0 ლანძაატი (67პ), 5:0 კ. პერესი (87)

**ჰერენვენი 1:0 გრონინგენი**

1:0 ვაირინენი (61)

**ფეიენოორდი 3:3 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 კოკუ (6), 0:2 ფარფანი (24), 1:2 ს. კალუ (49), 1:3 ბესლი (70), 2:3 ონო (82), 3:3 გოორი (90)

**აიაქსი 1:0 ვიტესი**

1:0 რ. ბაბელი (88)

**ბრედა 1:1 დენ ჰააგი**

1:0 ბუსაბუნი (30), 1:1 სვერტსი (85)

**გრააფსხაპი 3:2 ნაიმეგენი**

0:1 ტინინიო (13), 1:1 მაგნო (15), 2:1 ვან ლეერდამი (41), 2:2 დენებოომი (57), 3:2 დე გრაეფი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 16 | 13 | 3 | 0 | 42:8 | 42 |
| ალკმაარი | 16 | 12 | 3 | 1 | 42:12 | 39 |
| აიაქსი | 16 | 10 | 4 | 2 | 37:17 | 34 |
| ფეიენოორდი | 16 | 9 | 4 | 3 | 42:21 | 31 |
| ჰერენვენი | 16 | 8 | 4 | 4 | 28:25 | 28 |
| უტრეხტი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:19 | 25 |
| ბრედა | 16 | 7 | 4 | 5 | 27:33 | 25 |
| ვიტესი | 16 | 7 | 3 | 6 | 25:22 | 24 |
| როდა | 16 | 6 | 5 | 5 | 30:26 | 23 |
| ტილბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:24 | 22 |
| გრონინგენი | 16 | 5 | 4 | 7 | 24:29 | 19 |
| ვალვაიკი | 16 | 4 | 6 | 6 | 20:23 | 18 |
| ტვენტე | 16 | 5 | 2 | 9 | 19:25 | 17 |
| ნაიმეგენი | 16 | 3 | 5 | 8 | 17:22 | 14 |
| დენ ჰააგი | 16 | 3 | 3 | 10 | 19:28 | 12 |
| დენ ბოსხი | 16 | 2 | 3 | 11 | 10:42 | 9 |
| გრააფსხაპი | 16 | 1 | 5 | 10 | 16:40 | 8 |
| როზენდალი | 16 | 2 | 2 | 12 | 17:43 | 8 |

II დივიზიონი. XVI ტური

აპელდორნი — ტელსტარი 0:1; ემენი — კამბური 1:0; ექსელსიორი — მაასტრიხტი 2:0; ვოლენდამი — დორდრეხტი 2:0; სიტარდი — ვეენდამი 2:4; იგლსი — ვენლო 1:1; ჰაარლემი — ოსი 1:1; ჰელმონდი — ეინდჰოვენი 1:0; ჰერაკლესი — სპარტა 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 16 | 10 | 4 | 2 | 44:21 | 34 |
| ჰერაკლესი | 16 | 10 | 3 | 3 | 28:16 | 33 |
| ვენლო | 16 | 9 | 4 | 3 | 29:16 | 31 |
| ვოლენდამი | 16 | 9 | 3 | 4 | 25:14 | 30 |
| ჰელმონდი | 16 | 8 | 4 | 4 | 29:21 | 28 |
| ჰაარლემი | 16 | 8 | 2 | 6 | 29:24 | 26 |
| ზვოლე | 16 | 7 | 4 | 5 | 24:21 | 25 |
| დორდრეხტი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:23 | 25 |
| ვეენდამი | 16 | 7 | 3 | 6 | 30:27 | 24 |
| იგლსი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:23 | 22 |
| ტელსტარი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:20 | 21 |
| ოსი | 16 | 6 | 3 | 7 | 28:33 | 21 |
| აპელდორნი | 16 | 6 | 1 | 9 | 25:26 | 19 |
| ექსელსიორი | 16 | 5 | 2 | 9 | 23:24 | 17 |
| სიტარდი | 16 | 4 | 5 | 7 | 26:35 | 17 |
| კამბური | 16 | 4 | 4 | 8 | 13:25 | 16 |
| მაასტრიხტი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:26 | 12 |
| ემენი | 16 | 3 | 3 | 10 | 19:34 | 12 |
| ეინდჰოვენი | 17 | 2 | 6 | 9 | 18:39 | 12 |

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა
გადადებული მატჩი

**შახტარი 4:1 ილიჩევეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 15 | 13 | 0 | 2 | 31:8 | 39 |
| დინამო | 15 | 12 | 2 | 1 | 33:7 | 38 |
| მეტალურგი (დ) | 15 | 10 | 2 | 3 | 24:15 | 32 |
| ვოლინი | 15 | 7 | 4 | 4 | 19:17 | 25 |
| ჩერნომორეცი | 15 | 7 | 2 | 6 | 15:12 | 23 |
| დნიპრო | 15 | 6 | 5 | 4 | 18:18 | 23 |
| მეტალისტი | 15 | 6 | 2 | 7 | 17:21 | 20 |
| ილიჩევეცი | 15 | 5 | 5 | 5 | 24:22 | 20 |
| არსენალი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:20 | 20 |
| კრივბასი | 15 | 4 | 6 | 5 | 12:15 | 18 |
| ტავრია | 15 | 4 | 3 | 8 | 11:17 | 15 |
| მეტალურგი (ზ) | 15 | 2 | 8 | 5 | 10:17 | 14 |
| ვორსკლა | 15 | 3 | 3 | 9 | 7:17 | 12 |
| ზაკარპატია | 15 | 2 | 5 | 8 | 11:18 | 11 |
| ობოლონი | 15 | 2 | 5 | 8 | 8:21 | 11 |
| ბორისფენი | 15 | 0 | 7 | 8 | 6:18 | 7 |

## მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი
ფინალი. საპასუხო მატჩი

**მონტერეი 0:1 უნამი (1:2)**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩევანტონიმ საკუთარ თავს მონაკო მოუწონა



**ურუგვაელი** ვარსკვლავი ხავიერ ჩევანტონი „მონაკოში“ თავს ბრწყინვალედ გრძნობს და ბედნიერია ჩემპიონთა ლიგაში რომ თამაშობს. სწორედ იგი გახლდათ, წინა კვირას, ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში „დეპორტივო ლა კორუნიას“ ერთ-ერთი დამრბევი — მოგეხსენებათ, „მონაკომ“ ლა კორუნიაში მოიგო 5:0.

24 წლის ჩევანტონმა ინტერვიუ მისცა ფრანგულ გაზეთ „ეკიპს“, სადაც თავისი სიმპათია დიდიე დეშანისა და მისი გუნდის მიმართ არ დაუმალავს.

„ვატყობ, რომ თანდათანობით მწვერვალს ვუახლოვდები — თქვა ურუგვაელმა — ფიზიკური თვალსაზრისით უფრო და უფრო ვძლიერდები და ჩემი რწმენა საკუთარი თავისადმი მატჩიდან მატჩამდე იზრდება. ჩემი ამბიციაც დაკმაყოფილებულია. ყოველთვის დიდ მატჩებში მონაწილეობას ვოცნებობდი და ამისი შესაძლებლობა „მონაკომ“ მომცა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო კარიერაში სწორი ნაბიჯის გადადგმა და, როგორც გაირკვა, ასეც მოვქცეულვარ. ძალიან მინდოდა მერვედფინალში რომელიმე იტალიურ გუნდს შევხვედროდით, მაგრამ ჩვენი არ იყოს, ისინიც ჯგუფში პირველ ადგილებზე გავიდნენ და დებულების თანახმად ჩვენი გზები ვერ გადაიკვეთება“.

**პაპუნა ძიდია**

# ალმეიდას ალბიონზე ეძახიან

**არგენტინელი** ნახევარმცველი, მატიას ალმეიდა, შესაძლოა, ინგლისში გადაბარგდეს — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებს. ალმეიდამ, მოგეხსენებათ, „ბრეშა“ დატოვა და, როგორც მისი აგენტი, მარკოს ფრანკი ამბობს, მისი შეძენით ყველაზე მეტად სწორედ ბრაიან რობსონია დაინტერესებული.

„მატიასს ერთი მოწვევა იტალიიდან აქვს, მეორე კი ინგლისიდან, მაგრამ ამწუთას მოლაპარაკებებს ინგლისელებთან ვაწარმოებთ, იმიტომ, რომ საქმისთვის რეალურად მზად ისინი არიან. „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელი, ბრაიან რობსონი მატიასსაც ესაუბრა და მეც. ახლა ვცდილობ, ორივე მხარისთვის საუკეთესო ვარიანტზე გავრიგდეთ“— ამბობს ალმეიდას აგენტი.

**პაპუნა ძიდია**



# თებერვლამდე მოითმინე, ჯეი-ჯეი

**ნიგერიის** ნაკრების კაპიტანზე, ჯეი-ჯეი ოკოჩაზე თქვეს, რომ იგი აფრიკის 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელის კონკურსში მონაწილე ხუთი ფინალისტისგან ერთ-ერთია. სიაში ინგლისური „ბოლტონ უონდერერზის“ ვარსკვლავის გარდა არიან სამხრეთაფრიკელი ბენი მაკკარტი — „პორტუს“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი; ლონდონის „ჩელსის“ მოთამაშე დიდიე დროგბა, სპილოს ძვლის ნაპირიდან და ამ წოდების 2003 წლის მფლობელი სამუელ ეტოო „ბარსელონადან“. ხოლო მეხუთე ფინალისტის ვინაობა საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა, რადგან ტოგოელი ემანუელ ადებაიორის ამ ხალხში გამოჩენას არავინ ელოდა.

ფავორიტი, როგორც მიხვდით, ოკოჩაა, რომელმაც წლეულს აფრიკის ერთა თასზე დიდებულად ითამაშა, თუმცა თავისი პირველობის დადასტურებამდე ჯერ ცდა მოუწევს, რადგან კონკურსში გამარჯვებულს 15 თებერვალს დაასახელებენ.

**პაპუნა ძიდია**

## ბელგია

### იუპილერლიგა XVI ტური

**ანდერლეხტი 2:1 ბრიუგე**

0:1 ნ. ჩეპი (20), 1:1 ვანდერეგე (64), 2:1 იესტროვიჩი (85)

**ბევერენი 4:1 ვესტერლო**

1:0, 2:0, 3:0 სანოგო (11, 54, 76), 4:0 რომარიჩი (78), 4:1 იანსენსი (82)

**შარლერუა 2:0 გენკი**

1:0 აკგული (24), 2:0 ბრონო (43)

**ლიერსი 2:0 ლოკერენი**

1:0 ა. ტომპსონი (15), 2:0 უილსი (20)

**ოსტენდე 2:1 ლუვიე**

1:0 მარინო (41), 1:1 იშიაკუ (42), 2:1 პორტიე (90)

**სენტ ტრუიდენი 1:1 ბეერსხოტი**

0:1 დ. კრუზი (71), 1:1 იპუა (88)

**გენტი 1:1 სტანდარდი**

1:0 ლაიბუტი (33), 1:1 სერჟუ კონსეისაუ (42)

**სერკლ ბრიუგე 1:2 ბრიუსელი**

0:1 კულეკი (25), 0:2 ომონგა (29), 1:2 დეკელვერი (53)

**მუსკრონი 5:1 მონსი**

0:1 გუსე (9), 1:1 ლორენცი (50), 2:1 ლეკომტე (57), 3:1 ნოკო (68), 4:1, 5:1 მიხალ ჟევლაკოვი (74, 85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 16 | 13 | 2 | 1 | 40:8 | 41 |
| ანდერლეხტი | 16 | 12 | 1 | 3 | 35:16 | 37 |
| შარლერუა | 16 | 10 | 2 | 4 | 25:18 | 32 |
| გენტი | 16 | 9 | 2 | 5 | 25:21 | 29 |
| გენკი | 16 | 7 | 6 | 3 | 21:16 | 27 |
| სტანდარდი | 16 | 8 | 3 | 5 | 23:20 | 27 |
| ლუვიე | 16 | 8 | 2 | 6 | 25:15 | 26 |
| ლიერსი | 16 | 7 | 3 | 6 | 28:25 | 24 |
| ლოკერენი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:20 | 22 |
| მუსკრონი | 16 | 6 | 3 | 7 | 24:20 | 21 |
| ბეერსხოტი | 16 | 6 | 2 | 8 | 17:15 | 20 |
| ვესტერლო | 16 | 6 | 2 | 8 | 15:26 | 20 |
| სერკლი | 16 | 6 | 2 | 8 | 25:41 | 20 |
| ბევერენი | 16 | 5 | 4 | 7 | 22:21 | 19 |
| სენტ ტრუიდენი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:22 | 16 |
| ბრიუსელი | 16 | 3 | 2 | 11 | 14:33 | 11 |
| ოსტენდე | 16 | 1 | 5 | 10 | 15:30 | 8 |
| მონსი | 16 | 1 | 3 | 12 | 14:34 | 6 |

### მეორე კლასი. XVI ტური

გეელი — ვირტონი 1:2; ანტვერპენი — ვაასლანდი 4:0; ეუპენი — დესელი 1:1; ჰეუსდენი — კორტრაიკი 2:0; პატრო — აალსტი 3:2; ვიგორი — რონსი 4:1; ვიზეტი — დაინცე 4:2; სენტ ჟილი — ტუბიცე 2:0; ვარეგემი — რუზელარე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანტვერპენი | 17 | 11 | 2 | 4 | 29:15 | 35 |
| ვარეგემი | 17 | 10 | 4 | 3 | 35:20 | 34 |
| რონსი | 17 | 9 | 4 | 4 | 21:16 | 31 |
| გეელი | 17 | 9 | 2 | 6 | 30:21 | 29 |
| რუზელარე | 17 | 8 | 4 | 5 | 22:15 | 28 |
| ვაასლანდი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:23 | 28 |
| პატრო | 17 | 7 | 5 | 5 | 24:26 | 26 |
| ვირტონი | 17 | 6 | 7 | 4 | 23:23 | 25 |
| ჰეუსდენი | 18 | 6 | 6 | 6 | 21:19 | 24 |
| დაინცე | 17 | 6 | 4 | 7 | 28:37 | 22 |
| ტუბიცე | 17 | 6 | 3 | 8 | 27:26 | 21 |
| დესელი | 17 | 5 | 6 | 6 | 17:21 | 21 |
| ეუპენი | 17 | 4 | 7 | 6 | 27:29 | 19 |
| ვიგორი | 18 | 4 | 6 | 8 | 22:26 | 18 |
| სენტ ჟილი | 17 | 5 | 3 | 9 | 17:23 | 18 |
| კორტრაიკი | 17 | 5 | 2 | 10 | 23:30 | 17 |
| აალსტი | 17 | 4 | 5 | 8 | 21:29 | 17 |
| ვიზეტი | 17 | 2 | 4 | 11 | 18:32 | 10 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XIV ტური

**რიუ ავე 1:0 სეტუბალი**

1:0 გამა (2)

**სპორტინგი 0:0 ბრაგა**

**ბოავიშტა 1:0 აკადემიკა**

1:0 ედერი (90)

**ეშტორილი 2:0 ნასიონალი**

1:0 არიეტა (42), 2:0 ფელაპი (85)

**ლეირია 1:1 ჟილ ვისენტე**

0:1 კოენტრაუ (24), 1:1 ბ. ტიაგუ (85ს.კ.)

**პენაფიელი 1:3 გიმარაეში**

0:1, 0:2 რომეუ (17, 42), 0:3 მარიუ (68), 1:3 მარსელინუ (88)

**ბეირა მარი 1:3 მორეირენსე**

0:1 ლიტო (27), 1:1 ტანკე სილვა (39), 1:2 ფერნანდუ (44), 1:3 არმანდუ (66)

**ბელენენსეში 4:1 ბენფიკა**

1:0 ანშოე (23), 2:0 ლოურენკუ (28პ), 3:0, 4:0 ზე პედრუ (34, 72), 4:1 შოკოტა (75)

**მარიტიმუ — პორტუ**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 14 | 8 | 3 | 3 | 18:13 | 27 |
| სპორტინგი | 14 | 7 | 4 | 3 | 29:17 | 25 |
| პორტუ | 13 | 7 | 4 | 2 | 19:8 | 25 |
| ბენფიკა | 14 | 7 | 4 | 3 | 22:16 | 25 |
| ბრაგა | 14 | 6 | 5 | 3 | 17:12 | 23 |
| სეტუბალი | 14 | 7 | 2 | 5 | 19:16 | 23 |
| ლეირია | 14 | 5 | 6 | 3 | 17:14 | 21 |
| რიუ ავე | 14 | 4 | 8 | 2 | 19:17 | 20 |
| მარიტიმუ | 13 | 5 | 5 | 3 | 15:13 | 20 |
| გიმარაეში | 14 | 5 | 4 | 5 | 13:12 | 19 |
| ბელენენსეში | 14 | 5 | 3 | 6 | 25:21 | 18 |
| პენაფიელი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:28 | 17 |
| ეშტორილი | 14 | 4 | 3 | 7 | 17:19 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 3 | 4 | 7 | 15:18 | 13 |
| ბეირა მარი | 14 | 3 | 4 | 7 | 17:28 | 13 |
| მორეირენსე | 14 | 2 | 6 | 6 | 14:23 | 12 |
| ნასიონალი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:24 | 12 |
| აკადემიკა | 14 | 3 | 2 | 9 | 13:21 | 11 |

### მეორე ლიგა. XIV ტური

ავეში — ლეიშოეში 0:0; ოვაირენსე — მარკუ 2:1; ოლიალენსე — შავეში 0:0; გონდომარი — ფელგეირაში 1:0; ესპინიუ — ალვერკა 0:0; ნავალი — ვარზიმი 2:1; ფეირენსე — ამადორა 1:1; ფერეირა — პორტიმონენსე 3:2; სანტა კლარა — მაია 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამადორა | 14 | 8 | 4 | 2 | 21:10 | 28 |
| ფერეირა | 14 | 7 | 5 | 2 | 21:14 | 26 |
| ნავალი | 14 | 7 | 4 | 3 | 20:10 | 25 |
| ოვაირენსე | 14 | 7 | 4 | 3 | 22:18 | 25 |
| მაია | 14 | 7 | 3 | 4 | 16:10 | 24 |
| ავეში | 14 | 7 | 1 | 6 | 18:13 | 22 |
| ოლიალენსე | 14 | 6 | 4 | 4 | 16:14 | 22 |
| მარკუ | 14 | 5 | 6 | 3 | 20:17 | 21 |
| ლეიშოეში | 14 | 5 | 4 | 5 | 15:13 | 19 |
| გონდომარი | 14 | 5 | 4 | 5 | 13:14 | 19 |
| სანტა კლარა | 14 | 5 | 2 | 7 | 14:19 | 17 |
| ესპინიუ | 14 | 4 | 4 | 6 | 14:18 | 16 |
| პორტიმონენსე | 14 | 4 | 3 | 7 | 17:21 | 15 |
| ფეირენსე | 14 | 4 | 3 | 7 | 13:22 | 15 |
| ალვერკა | 14 | 4 | 2 | 8 | 6:13 | 14 |
| ფელგეირაში | 14 | 3 | 4 | 7 | 12:14 | 13 |
| ვარზიმი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:21 | 13 |
| შავეში | 14 | 2 | 5 | 7 | 4:14 | 11 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80




REUTERS ლისაბონიდან

# ფიგუს წელი

კიდევ ერთი წიგნი ამ კაცის შესახებ,
„ერთი წელიწადი ფიგუს ცხოვრებიდან“ ფოტოებით
მოთხრობილი ამბავია, რომელიც ლისაბონში გამოიცა.
ფიგუ თავად დაესწრო წიგნის პრეზენტაციას:
სწორედ იმ დღეს, როცა ბიჭი შეეძინა, ანუ 10 დეკემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

12 დეკემბერი. ვერის ბაღი

**თსუ 92:70 ბურჯი**

31:18 12:16 19:26 30:10

თსუ: მარხვაშვილი (18), ვეფხვაძე (8), ბაქრაძე (10), ფაჩულიძე (24), კოკოლიშვილი (9); ბერაია (17), ლომიძე (2), ხიზანიშვილი (2), გაფრინდაშვილი (2)
ბურჯი: პაპუნაშვილი (9), ქუჯაიძე (9), აკოლაშვილი (20), დოლიძე (7), დოლმაზაშვილი (2); ნუცუბიძე (12), გოგუაძე (10), სეხნიაშვილი (1), იაგორაშვილი
მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ანდღულაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

**ავიამშენი 95:91 სტუ**

22:26 19:22 29:19 25:24

ავიამშენი: თორთლაძე (11), ნიკოლაძე (13), აბრამიძე (1), ორმოცაძე (8), ბერძენიშვილი (2); ხოშტარია (26), შენგელია (16), ბ. ნოზაძე (12), წოწელია (6)
სტუ: ბერიშვილი (21), გოგობერიშვილი (11), კეიდია (10), მარკოიშვილი (15), შანიძე (22); მიქაძე (5), ჯაფარიძე (5), დავითულიანი (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**სსუ 80:86 თუჯი**

22:23 23:20 15:24 20:19

სსუ: ნინუა (17), პატარაია (17), იმედაშვილი (2), გოლეთიანი (21), ქვილითაია (2); გასიტაშვილი (13), ონიკაშვილი (8)
თუჯი: არწივიძე (3), ფაიქრიძე (6), მურჯიკნელი (23), ტყეშელაშვილი (11), დანელიანი (6); გოგსაძე (9), ლიპარტელიანი (8), ბოისა (6), ჩაჩუა (6), ცეკვავა (4), გოგილაშვილი (2), ჭოჭუა (2), ჟღენტი
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**დინამო 91:55 მაკაბი**

28:20 26:16 12:5 25:14

დინამო: გამყრელიძე (5), ხეცურიანი (15), ლოსაბერიძე, დიდია (7), სუხიშვილი (13); ბექაური (13), ვ. მაისურაძე (9), კვიმსაძე (9), კოლუაშვილი (9), ლაფანაშვილი (7), კილაძე (4), დერიუგინი
მაკაბი: ნინოშვილი, ბადრიძე (9), ერგემლიძე (5), კონჯარია (7), ვაშაკიძე (17); კორკოტაძე (9), გვარამაძე (8)
მსაჯები: ლიკა ქაჯაია, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილავიამშენი | 7 | 6 | 1 | +132 | 13 |
| სტუ | 7 | 6 | 1 | +144 | 13 |
| დინამო | 7 | 5 | 2 | +162 | 12 |
| თსუ | 7 | 4 | 3 | +79 | 11 |
| თუჯი | 7 | 4 | 3 | +25 | 11 |
| მაკაბი | 7 | 2 | 5 | -102 | 9 |
| სსუ | 7 | 1 | 6 | -187 | 8 |
| ბურჯი | 7 | 0 | 7 | -253 | 7 |

# მაღლა და მაღლა

## ავიატორები გაფრინდნენ

**ირაკლი პერტაია**

გუშინ პირველი წრე დასრულდა და მისი დამაგვირგვინებელი აკორდი ერთობ სასეირო გამოდგა. კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ჩემპიონატის ორი მოწინავე გუნდი საწყისი წრის ბოლო ტურში ხვდებოდნენ ერთმანეთს და მატჩმაც გაამართლა.

სტუ-სა და „თბილავიამშენის" თამაშზე მაყურებელს მოსაწყენად არ ეცალა. ერთი ტრიბუნა ტექნიკური უნივერსიტეტის ქომაგებს შეევსოთ და ვისაც ხმა ჰქონდა, ჩასახლეწად არ ენანებოდა — ძველთაძველ „გეპეის" აგუგუნებდა.

ტექნიკოსებს ქომაგობა და გამხნევება სწორედაც რომ სჭირდებოდათ, რადგან მეტოქე მეტად ძლიერი და გამოცდილი ხალხით იყო სავსე. ავიატორთა მწვრთნელ ლევან მოსეშვილს კი დასამტკიცებელი ჰქონდა, რომ მეორე ტურში „დინამოსთან" წაგება შემთხვევითობა იყო და სტუ-ს დამარცხებაც ამ „ცოდვის" ჩამორეცხვის საუკეთესო საშუალება გახლდათ.

მოკლედ, ინტრიგა საკმარისი იყო და პირველივე წუთიდან ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. ტექნიკოსთა თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა სიურპრიზი შესთავაზა მეტოქეს და თამაში ნომინალური ცენტრის გარეშე დაიწყო. ავიატორებმა კი დაბალანსებული ხუთეული გამოიყვანეს, მაგრამ ეს არ გამოდგა ეფექტური საშუალება ტექნიკოსებთან საბრძოლველად.

სტუ-მ პირდაპირ მიანიშნა მეტოქეს, რომ შორ სროლებზე ააგებდა თამაშს და პირველ მეოთხედში ალებულ გეზს არ უგანა. შეიძლება ითქვას, ტექნიკოსები ავანტიურაზე წავიდნენ, პერიმეტრზე მოიხელთებდნენ თუ არა ბურთს, დაუფიქრებლად ესროდნენ. უმართლებდათ კიდეც: დავით ბერიშვილმა მიჯრით სამი სამიანი ჩააგდო, რასაც ირაკლი შანიძემაც წაამატა ერთი და სტუ-ს არჩეულმა ტაქტიკამაც საწყის მეოთხედში შედეგი გამოიღო.

„ავიამშენმა" თავიდან კი სცადა, სიმაღლეში უპირატესობა გამოეყენებინა, მაგრამ დავით ბერძენიშვილს შედარებით ტანმორჩილმა გიორგი მარკოიშვილმა და შანიძემ გასაქანი არ მისცეს. ამიტომაც იყო, რომ ლევან მოსეშვილმა პირველი მეოთხედის შუა წელში მოედანზე ირაკლი ხოშტარია შეუშვა, რომელმაც „ავიამშენის" სხვა დაბლებთან ერთად მეტოქეს სწრაფ თამაშში ფეხი აუწყო.

ანგარიში თითქმის მთელი თამაში თანაბრად იზრდებოდა, თვალში საცემი ლიდერობის მოპოვებას ერთი გუნდიც ვერ ახერხებდა. საწყისი მეოთხედი სტუ-მ 4 ქულით მოიგო და შესვენების შემდეგ უპირატესობის გაზრდა რომ დააპირა, იქით ჩამორჩა — 29:31. ავიატორებმა მოახერხეს და ტექნიკოსებს სამქულიანების სროლაზე აალებინეს ხელი, სწრაფ და კონტრშეტევებზე აგებული თამაშში კი მეტოქეს ოდნავ აჯობეს კიდეც.

ამ დროს მოედანზე ავიატორთა სამი უკანახაზელი იმყოფებოდა: მსროლელი ირაკლი ხოშტარია და ორი გამთამაშებელი — გიორგი ნიკოლაძე და დავით თორთლაძე. დაბლებს, ცხადია, პერიმეტრის გაკონტროლება უჭირდათ და ზონაში ჩამდგარი „ავიაცია" სტუ-მ ისევ სამქულიანებით „დაცხრილა". მარკოიშვილისა და ირაკლი კეიდიას შორმა სროლებმა ტექნიკოსებს დიდ შესვენებამდე 3 წუთით ადრე რვაქულიანი უპირატესობა მოუტანა — 44:36.

ტაიმი სტუ-ს შვიდქულიანი უპირატესობით განახლდა, მაგრამ ორ წუთში ანგარიში უკვე თანაბარი იყო — 50:50. როგორც იქნა, კახა შენგელიაც ამოქმედდა და როცა „ავიამშენს" სამარქაფო ბექა ნოზაძემ და გოჩა წოწელიამაც წააშველეს ხელი, მოსეშვილის გუნდი 61:57 დაწინაურდა.

ისე გამოვიდა, რომ ყველაფერი წყლის ნაყვა გამოდგა, რაკი ბოლო მეოთხედში ანგარიში ისევ გათანაბრდა და მოწინაალმდეგეებმაც თავიდან დაიწყეს საქმე. მაგრამ ერთმანეთის დასაზვერად და ტაქტიკის საცვლელად აღარავის სცხელოდა — თამაში დასასრულს უახლოვდებოდა და ქულები ნებისმიერი ხერხით უნდა მოეპოვებინათ.



ირაკლი ხოშტარიამ „თბილავიამშენი" გაალიდერა

სწორედ ამ დროს უნდა გამოჩნდეს ვინმე, რომელიც წინამძღოლობას იკისრებს და „ავიაციას" ასეთად ირაკლი ხოშტარია მოევლინა. „ხოშტარა" ლომივით იბრძოდა, დაცვაში ხომ ჩასაფრებულიყო და შეტევაშიც ბადალი არ ჰყავდა. მხოლოდ მას რომ სჩვევია, ისეთი ზიგზაგ-გარღვევებით უხვეჭდა თავისიანებს ჰაერივით საჭირო ქულებს, რაშიც დამხმარედ თორთლაძე ჰყავდა და სწორედ ამ ორი კაცის მარიფათით მოიგო „ავიამშენმა".

ისეთი ყაიდის მატჩი გამოდგა, რომ მოგება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ რატომღაც „ავიამშენს" გაუმართლა. ბოლოსწინა წუთზე სტუ ორი ქულით იგებდა, როცა გამოცდილ ტექნიკოს, რამაზ გოგობერიშვილს არანაკლებ გამოცდილმა ამროსი ორმოცაძემ დაუფარა და ნიკოლაძემ საჯარიმოებით გაათანაბრა. მერე იყო ხოშტარიას ორი შედეგიანი შურდულგარღვევა და როცა სტუდენტ ზვიად მიქაძის განწირული სამქულიანი მიზანს ასცდა, „ავიაციამ" გამარჯვება და ცხრილში გალიდერება იზეიმა.

NBA რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS მილუოკიდან

დესმონდ მეისონის „მილუოკიმ" ოთხ დღეში ორჯერ დასცა „ინდიანა"

10 დეკემბერი

**მილუოკი 95:86 ინდიანა**

მილუოკი: უილიამსი (13), რედი (21), მეისონი (12), სმიტი (9), გაძურიჩი (10 ქულა, 10 მოხსნა); ჯეიმსი (16), ფაჩულია (23 წუთი, 5 ქულა, 8 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 2 დაფარება, 1 პასი), გილი (5), ფიზერი (4)
ინდიანა: ჯონსონი (9), მილერი (17), ჯ. ჯონსი (8), ფოსტერი (11), ჰარისონი (9); კროშერი (14), ფ. ჯონსი (13), ფოულკინსი (5), გილი, ჰეისლიპი

**ტორონტო 87:101 დენვერი**

ტორონტო: ალსტონი (25), როუზი (3), პიტერსონი (10), ბოში (6), ვუდსი (4); მიურეი (16), სოუ (9), მარშალი (6), ბონერი (6), არაუიო (2)
დენვერი: მილერი (18), ბაკნერი (4), ენტონი (28 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), მარტინი (14), ნენე (21); რასელი (8), ბოიკინსი (5), ჯონსონი (2), *ცქიტიშვილი* (7 წუთი, 1 ქულა, 1 ჩაჭრა), ელსონი

**იუტა 92:87 პორტლენდი**

ძირითადი დრო 81:81

იუტა: ბუზერი (17), ჰარპრინგი (17)
პორტლენდი: რენდოლფი (23), აბდურ-რაჰიმი (19)
*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**დეტროიტი 72:88 ატლანტა**

დეტროიტი: ჰამილტონი (24), პრინსი (14)
ატლანტა: დელკი (16), დრობნიაკი (17)

**ვაშინგტონი 106:104 ნიუ იორკი**

ვაშინგტონი: ჯემისონი (25 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), არენასი (20), ჰიუზი (18), ჰეივუდი (17)
ნიუ იორკი: მუჰამედი (20), მარბერი (18)

**მაიამი 92:84 მემფისი**

მაიამი: უეიდი (26 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), ონილი (20)
მემფისი: რაიტი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 94:81 ნიუ ორლეანი**

ძირითადი დრო 86:86

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24), უილიამსი (19)
ნიუ ორლეანი: დიკაუ (18)

**ჩიკაგო 88:93 ფილადელფია**

ჩიკაგო: დენგი (17)
ფილადელფია: აივერსონი (22 ქულა, 10 პასი), დალემბერტი (13 ქულა, 14 მოხსნა, 6 დაფარება)

**მინესოტა 113:105 საკრამენტო**

მინესოტა: გარნეტი (35 ქულა, 18 მოხსნა, 9 პასი)
საკრამენტო: ვებერი (25), ბიბი (21), ჯექსონი (19)

**ფინიქსი 115:106 შარლოტი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (36 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი), მარიონი (20), რიჩარდსონი (20)
შარლოტი: ნაითი (17), ბრეზეცი (16)

**გოლდენ სტეიტი 109:113 ორლანდო**

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (27), დანლივი (22)
ორლანდო: ფრენსისი (36 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

11 დეკემბერი

**ატლანტა 90:95 ნიუ ჯერსი**

ატლანტა: უოლკერი (25 ქულა, 13 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (21), ბესტი (21)

**მემფისი 72:68 დეტროიტი**

მემფისი: გასოლი (20)
დეტროიტი: რ. ვოლესი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**ჰიუსტონი 78:101 დალასი**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (15), მინგი (13)
დალასი: ფინლი (26), ნოვიცკი (22 ქულა, 14 მოხსნა)

**სიეტლი 84:98 ბოსტონი**

სიეტლი: ლუისი (19), ფორტსონი (16), ალენი (16)
ბოსტონი: პირსი (22), პეიტონი (21)

**ინდიანა 92:97 საკრამენტო**

ძირითადი დრო 85:85

ინდიანა: კროშერი (21), ფ. ჯონსი (17)
საკრამენტო: ვებერი (26 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (21)

**ჩიკაგო 99:88 მინესოტა**

ჩიკაგო: გორდონი (31), ჰაინრიხი (19 ქულა, 12 პასი)
მინესოტა: კასელი (17), გარნეტი (16 ქულა, 21 მოხსნა)

**სან ანტონიო 116:97 კლივლენდი**

სან ანტონიო: დანკანი (34), ბოუენი (20), პარკერი (18 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა)
კლივლენდი: გუდენი (28), ჯეიმსი (23 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

**კლიპერსი 87:89 ლეიკერსი**

კლიპერსი: მეჯიტი (27), მური (18 ქულა, 14 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (37 ქულა, 10 მოხსნა), ოდომი (19 ქულა, 12 მოხსნა)

# მუქთი ბენზინით შორს წახვალ
## რატომაა ირანი თბილი, თბილისი კი ცივი

*თბილ ქვეყნებში წასული კალათბურთელები ზამთრის არდადეგებს შედარებით ცივ თბილისში ატარებენ. ირანში მოთამაშე ირაკლი სორდია და ვანო აბულაძე გასულ კვირას ჩამოვიდნენ სამშობლოში. ორი დღის წინ კი თბილისში კოტე ტუღუშმა და ვაკო ბეჟანიშვილმაც „შემოიარეს". პირველი წყვილისა არ იყოს, კოტე და ვაკოც კარგ ხასიათზე არიან, რაკი ირანში თავიანთი გუნდი ცხრილში კარგ პოზიციაზე დატოვეს. ისინი სპარსეთში ხვალ-ზეგ გაბრუნდებიან, მანამდე კი კოტე ტუღუშმა ეს მცირე ირანული ამბავ-ხაბარი გვიამბო*

— ირანის უმაღლეს ლიგაში პირველი წრე დასრულდა და გუნდის ხელმძღვანელობამაც საკუთარი ხარჯებით გამოგვიშვა სახლში.

— ახლახან ირანიდან სორდია და აბულაძეც ჩამოვიდნენ და მათაც კლუბმა აუნაზღაურა მგზავრობის საფასური. ასეთი წესი აქვთ ირანულ კლუბებს?

— როცა ხელმძღვანელობა შედეგით კმაყოფილია, გუნდის წევრებს თან გადაჰყვება და ეს ირანშიც ასეა. მით უფრო, როცა საქმე იმათ ეხება, ვინც გუნდს უძღვება. „თეგა" ძირითადად ოთხი კალათბურთელის ხარჯზე გადის ფონს: მე, ვაკო და კიდევ ორი იქაური, რომლებსაც ირანის ნაკრებში თამაშის 12-წლიანი სტაჟი აქვთ. მათ შარშან დაანებეს სანაკრებო კარიერას თავი.

— ციფრებში როგორ გამოიხატება თქვენი ლიდერობა?

— ოქმებს მე ვერ ვარჩევ, ირანელებს ხომ ციფრებიც სხვანაირი აქვთ. ისე კი, ჩემი ვარაუდით, ალბათ 18-20 ქულას ვაკეთებ საშუალოდ და დაახლოებით ასეა ვაკოც.

— გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილიაო, თქვი და მაინც რომელ ადგილზე ხართ?

— მესამე ადგილი ეგებ სხვებისთვის არ იყოს მაღალი შედეგი, მაგრამ „თეგასთვის" ესეც საკმარისია ამ ეტაპზე. ჩვენი გუნდი უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტია და ახლა მესამე ადგილზე რომ ვართ, ბევრს უკვირს.

— შემადგენლობით ვინმეს ჩამოუვარდებით?

— ეგ არ მკითხო, ირანში ისეთი საკალათბურთო ბუმია, ყოველ ტურში ახალი ამერიკელი თუ ყოფილი იუგოსლაველი ჩამოჰყავთ. გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ძლიერ და ძვირადღირებულ უცხოელს ჩამოიყვანს.

— ადრე თქვი, ლიმიტია უცხოელებზეო...

— ჰო, მაგრამ ფედერაციამ ანგარიში გაუწია კალათბურთში მოზღვავებულ ფულს და მაღალგაზრდილი კლუბების თხოვნით ორის ნაცვლად სამი ლეგიონერის ყოლის უფლება მისცა. თან ზოგიერთს ის ორკაციანი ლიმიტიც არ ჰქონდა ამოწურული და ახლა უნდა ნახო, ყოველ ტურში ერთბაშად რამდენიმე ახალი ზანგი სახე რომ ჩნდება. პირველი წრის ბოლო ტურში იმ გუნდს მოვუგეთ სტუმრად, რომელმაც არჩილ ჟღენტი დ ირაკლი ჯაფარიძე დაიწუნა და მათ ნაცვლად ამერიკელები შეიმატა.

— როცა ირანში მიდიოდი, ორჭოფობდი და ახლა კმაყოფილი ჩანხარ...

— მართლაც კმაყოფილი ვარ და დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი ირანში კიდევ. მით უმეტეს, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში უკეთეს კონტრაქტს გამიფორმებენ, მაგრამ ირანში ყოფნას საქართველოში გაცილებით ცუდ პირობებით თამაში მირჩევნია. ვეღი, რომ ქართულ კალათბურთში სიტუაცია გამოსწორდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდის მეტი არაფერი მესმის. გული მიკვდება, როცა ირანში კვირიდან კვირამდე იმატებს დონე და საქართველოში კი ახალი არაფერი ხდება.

— როდის ბრუნდები ირანში?

— ხვალ ან ზეგ წავალთ ვაკოს მანქანით. გზაში 15 საათი დაგვჭირდება, მაგრამ სამაგიეროდ, ირანში გადაადგილების პრობლემა აღარ შეგვაწუხებს. მე შენ გეტყვი და, საწვავის ხარჯებს ვერ აუვალთ თუ რა. გავავსებთ ორ-სამ დოლარად ავზს და როცა დრო გვექნება, შემოვუვლით ირანში მოთამაშე ქართველებს.

**ირაკლი პერტაია**



კოტე ტუღუში ზამთრის არდადეგებს თბილისში ხვდება



## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი



# ლელო ლელოს და მოგების გარეშე
## კიდევ სცადეთ

| | |
|---|---|
| **11 დეკემბერი. ვარკეთილის მეურნეობა** | |
| **წინასწარი ფინალი** | |
| **აკადემია 9:6 ლელო** | |
| აკადემია: სანადირაძე, მაჭარაშვილი (გოგიაშვილი), გელანტია, ბალახაშვილი (მებურიშვილი), პაპაშვილი, ცხვედიანი, ჩიკვაიძე, ბოლლაშვილი; კობახიძე, კიკნაძე-მაჩხანელი, კაპანაძე (ნატრიაშვილი), პიწხუკოვი, ელიზბარაშვილი, ურჯუკაშვილი | ლელო: კახოიძე, კობეშავიძე, სუჯაშვილი, კოპალეიშვილი, გორგოძე, დ. მჭედლიშვილი, სარდანაშვილი, ვალიშვილი; კვირიკაშვილი, ბარკალაია; გ. მჭედლიშვილი, ფირფილაშვილი, ქობელაშვილი, ჯამრულიძე, ყიასაშვილი |
| *3 საჯარიმო:* კიკნაძე (16, 78), ურჯუკაშვილი (40) | *2 საჯარიმო:* ყიასაშვილი (31, 38) |
| **11 დეკემბერი. ბათუმი** | |
| **შესარჩევი ფინალი** | |
| **დათვები 27:12 ყოჩები** | |

**ნამატჩევს** „ლელოს" თავკაცმა ლევან მაისაშვილმა და გვერდითმა არბიტრმა უჩა ნარიმანიძემ რაღაც ვერ გაიყვეს, ჯერ შელაპარაკდნენ და მერე გამშველებლებს რომ არ ეყოჩაღათ, „რაგბი წესების გარეშეს" ვნახავდით, ოღონდ უბურთოდ. კაციშვილი ვერ იტყვის, ლელოელებს ნარიმანიძემ წააგებინაო, მაგრამ ზოგადად მსაჯობას რომ მარტო მაისაშვილი არ ემდურება, ესეც ყველამ ვიცით. სამწუხაროდ, ასეთ სკანდალებს ჩვენს სარაგბო ჩემპიონატში ბოლო არ უჩანს...

თამაში კი, როგორც იტყვიან, შედგა. სხვისი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ კი ნაღდად არ გვინანია, უქმე დღეს თბილისის უკიდურეს აღმოსავლეთში რომ წავედით. მერე რა რომ ერთი ლელოც არ გვინახავს. სამაგიეროდ, ბრძოლა, დაძაბულობა და ალაგ-ალაგ დიდი სარაგბო გაელვებები არ მოაწყენდა კაცს.

გუშინწინდელ მატჩამდე „ლელო" უფრო ჯანიან გუნდად მოჩანდა. სხვა თუ არაფერი, მაისაშვილის ბიჭები პლეი ოფებამდე პირველი ადგილით მივიდნენ და „აკადემიას" უშუალო ჭიდილშიც აჯობეს (15:11, 20:20). ლელოელებს თავისუფლად შეეძლოთ წარმატებული სერიის გაგრძელება, მაგრამ განიავებულმა საჯარიმოებმა ერთი შეხედვით მოსაგები თამაში წააგებინათ.

შედარებით წყნარი დასაწყისის შემდეგ „აკადემია" აფეთქდა, გარემარბი ირაკლი მაჩხანელი ლელოსთანაც ახლოს იყო, თუმც პაატა ნარიმანაშვილის გუნდმა ამ მომენტიდან მხოლოდ კიკნაძის ზუსტი საჯარიმო მოინადირა.

„ლელომ" კი ორმაგად უპასუხა და თან იმ ათწუთიან მონაკვეთში, როდესაც პირველხაზელი მიხეილ სუჯაშვილი ჰყავდა გასინბინებული — ჭაბუკმა ირაკლი ყიასაშვილმა ერთხელ შორიდან, ერთხელაც პენალტივით იოლი გასატანი საჯარიმოთი 6:3 დააწინაურა თავისიანები და თითქოს ტაიმიც აქ უნდა მორჩენილიყო, მაგრამ „აკადემიამ" ხუთწუთიანი შტურმიდან საჯარიმო გამოწურა და უკანა ბეკად მოთამაშე მალხაზ ურჯუკაშვილმაც შესვენებისთვის ორი ექვსიანი (6:6) დააფიქსირა.

სურათი ასეთი იყო: ლელოელები შერკინებაში უფრო ყოჩაღობდნენ, ერთი-ორჯერ მოლიც ლაზათიანად ააგორეს და არც დერეფანში წახდენილან, მაგრამ თამაშს ვერ შლიდნენ და დამამთავრებელ ფაზაშიც ჭაკობდნენ. მეორე ტაიმში იყო ხუთ-ათწუთიანი პერიოდები, როცა „აკადემია" თავისი ოცდაორიდან ვერ გამოდიოდა, მაგრამ რაც მართალია, მართალია — დაცვაში მაგრად იდგა.

მოკლედ, თამაში თითქოს „ლელოსი" იყო, ყიასაშვილმა და ოთარ ბარკალაიამ ორჯერ ისეთი საჯარიმოები ააცილეს, ვარჯიშზე ათიდან რვას რომ გაიტანდნენ.

ყიასაშვილს სალელოე შანსიც ჰქონდა — ფეხმარდად გაჭრა მეტოქის დაცვის ხაზი და ზედ ხაზთან შებოჭეს, არადა, გვერდზე ჯამრულიძისთვის რომ გაეყოლებინა ბურთი, ლელოს წყალი არ გაუვიდოდა.

ჰოდა, ამდენი ვერგატანის შემდეგ რომ „აკადემიამ" იხეირა, რა გასაკვირია: თამაშის დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე კიკნაძემ კარგად შეირგო საჯარიმოს შანსი და თავისიანები ფინალში დაჯავშნა, ლელოელებს კი „მომავალ შეხვედრამდე" შეუთვალა...

ბათუმში ლევან მგელაძის „დათვებმა" შესარჩევ ფინალში 27:12 დატორეს „ყოჩები", რაც იმას ნიშნავს, რომ 16 დეკემბერს ზღვისპირელები ვარკეთილის მეურნეობაში „ლელოს" შეხვდებიან მეორე ფინალისტის გამოსარკვევად. ჰოდა, „მომავალ შეხვედრამდეშიც" ის ვიგულისხმეთ, რომ „აკადემია" — „ლელო" შეიძლება 22 დეკემბერს დიდ ფინალში კიდევ გადაეყარნონ ერთმანეთს...

**ილია ნანობაშვილი**



ვარკეთილში ნამატჩევს გაწევ-გამოწევაც იყო



# ინგა გიორგობიანი: ტურნირზე ისე წავედით, ფედერაციას არც გაუგია

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობების ფედერაციაში შექმნილმა მდგომარეობამ, 13 წლის განმავლობაში გამეფებულმა განუკითხაობამ და ფედერაციაში შემავალი სახეობებისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ ფედერაციის წევრთა უმრავლესობა აიძულა, რადიკალური ნაბიჯები გადაედგათ. მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა, სპორტულმა ტანმოვარჯიშეებმა და აკრობატებმა ცალკე დამოუკიდებელი ფედერაციები დააფუძნეს. ამ სახეობებში ჩვენს სპორტსმენებს ჯერ კიდევ საბჭოეთის ხანაში საკმაოდ სერიოზული წარმატებები ჰქონდათ. ახალი ფედერაციის დაფუძნების აუცილებლობასა და სამომავლო გეგმებზე საქართველოს სპორტული აკრობატიკისა და სპორტული აერობიკის ფედერაციის პრეზიდენტი ინგა გიორგობიანი გვიამბობს:

— 90-იანი წლების დასაწყისში ტანვარჯიშის სახეობები ერთ ფედერაციაში გააერთიანეს. თავიდან ყველას უჭირდა, თუმცა იმედი გვქონდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ყველა ღონეს იხმარდა და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს მოძებნიდა, თუმცა 13 წლის უმოქმედობის შედეგად ფედერაციაში შემავალმა თითქმის ყველა სახეობამ უკიდურესი რეგრესი განიცადა. ოთხი დისციპლინიდან ყველაზე უყურადღებოდ აკრობატიკა იყო. ამის მიზეზად ფედერაციის ხელმძღვანელები ჩვენი სახეობის არაოლიმპიურობას ასახელებდნენ. ამ ლოგიკით, ოლიმპიური არც სამბო და რაგბია და მაშასადამე, ისინიც უნდა განადგურდნენ?

**— როგორ აისახა ქართულ აკრობატიკაზე ფედერაციის ხელმძღვანელთა უყურადღებობა?**

— აკრობატიკა რეალურად მხოლოდ ფურცელზე არსებობდა. დავკარგეთ უამრავი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მწვრთნელები... მიუხედავად ამისა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ძალისხმევით ეს სახეობა ავად თუ კარგად დღემდე მოვიტანეთ, რაშიც ფედერციას არანაირი წვლილი არ მიუძღვის.

**— ქართველი აკრობატები საერთაშორისო ტურნირებში თუ მონაწილეობენ?**

— არა, ეს არ ხერხდება დაუფინანსებლობის გამო. შესაბამისად, ვერც საჭირო გამოცდილებას იღებენ, რის გამოც სპორტის ეს სახეობა სტაგნაციას განიცდის. სულ ახლახან მერიის სპორტის სამსახურის დახმარებით მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში გოგონათა წყვილმა — ლანა ქარაიამ და ლია ბურჯანაძემ იასპარეზეს. ეს ამბავი ფედერაციას არც გაუგია.

**— ისინი პირველად მოხვდნენ საერთაშორისო ტურნირზე?**

— დიახ, გოგონები პირველად გამოვიდნენ ასეთი რანგის შეჯიბრებაზე და საკმაოდ წარმატებითაც. თავიანთი ასაკის უძლიერეს აკრობატთა [illegible] დაიკავეს.

**— საქართველოს ჩემპიონატი თუ იმართება?**

— რა თქმა უნდა, თუმცა ამის ორგანიზაციასაც მწვრთნელების ძალისხმევით ვახერხებთ. რამდენი წელია, ამ საკითშიც გვაკლია ფედერაციის ყურადღება.

**— რა არის შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი?**

— 19 ნოემბერს ტანვარჯიშის სახეობების ფედერაციაში გამართულ არჩევნებს დიდი იმედით ველოდით. ვფიქრობდით, რომ ფედერაციის ხელმძღვანელი ძველი გუნდი მთლიანად შეიცვლებოდა. მოვიდოდნენ პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც ტანვარჯიშის სახეობების აღორძინებისთვის იზრუნებდნენ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არავითარი ცვლილება არ მოხდა. ამიტომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი ვიპოვეთ. დავაარსეთ აკრობატიკისა და სპორტული აერობიკის ფედერაცია.

**— სპორტული აერობიკა, ეს ახალი სახეობაა?**

— სპორტული აერობიკა მთელ მსოფლიოში აკრობატიკასთან არის დაკავშირებული. ეს ჩვენთან ახალი სახეობაა. მოსკოვიდან უკვე მივიღეთ თანამედროვე წესები და იქაურები აქტიურად გვეხმარებიან განვითარებაში.

**— რა გეგმები აქვს მომავალში აკრობატიკისა და სპორტული აერობიკის ახლად დაფუძნებულ ფედერაციას?**

— ახლა უფრო მეტი მონდომებით მუშაობენ მწვრთნელები, რათა კვლავ დავიბრუნოთ ის დიდება, რომელიც 13 წლის წინ გვქონდა.

**ნინო ლეჟავა**



# რკინის მუშტი და რკინის ნიკაპი





## ვიტალი კლიჩკო კვლავ ჩემპიონია

REUTERS

**ვიტალი კლიჩკომ** პირწმინდად დაამარცხა ბრიტი დენი უილიამსი და შეინარჩუნა თავისი საბჭოს (ვბკ) ჩემპიონის ქამარი. ამ ბრძოლაში ბრიტს შევუქებთ გაუზომელ სიმამაცეს, დანარჩენი კი ყველაფერი აწ „რკინის მუშტად" წოდებულ უკრაინელისა იყო.

თუმცა, კრივზე მწერლებმა შაბათლამვე აღნიშნეს, ის თუ „რკინის მუშტია", ეს „რკინის ნიკაპი" ყოფილაო.

ლასვეგასურ კრივობის პირველ წამებიდანვე კლიჩკომ საშინელ დღეში ჩააყენა უილიამსი: პირველ რაუნდშივე ცხრადათვლიანი ნოკდაუნი აგემა. თუმცა, ბრიტმა წარმოუდგენელი ამტანობა გამოავლინა.

კლიჩკო-უფროსმა ის კიდევ სამჯერ დაანოკაუტა და ცხვირპირიც დაუხეთქა თავისი ჯებით, რამაც ბოლოს და ბოლოს (ანუ მერვე რაუნდში) რეფერი ვისლის ბრძოლა შეაწყვეტინა, რახან უილიამსი უკვე ბარბაცებდა, ანუ ისე დადიოდა, როგორც ერთ დროს ელვის პრესლი ცეკვავდა. მეოთხე ნოკდაუნი ბოლო გამოდგა.

ამგვარი კრივობით კლიჩკომ ამერიკელი კრიტიკოსები ჩააჩუმა, რომლებიც აქამდე ამბობდნენ, ეგ რა მძიმეწონოსანიაო. უილიამსი ძნელად უტევდა და არც გამოსდიოდა. სისწრაფეში ჩამორჩებოდა ჩემპიონს. გონგი ბრიტის ნამდვილი ხსნა იყო.

ბრიტმა თითქოს ხელი გამოიღო მეშვიდე რაუნდში, ბევრს ეცადა, თუმც კლიჩკოს საშინელმა დარტყმებმა უკვე შემდეგ რაუნდში მოუთავა ხელი.

„ამაღელვებელი იყო, რა ვაჟკაცურად იდგა ფეხზე — თქვა კლიჩკომ ბრძოლის შემდეგ — დიდ პატივს ვცემ ამ კაცის ღირსებას და ამტანობას. ვამაყობ, რომ სწორედ მისგან დავიცავი ტიტული."

სამადლობელი სიტყვები წაგებულმაც არ დაიწურა — „ვიტალი ჭკვიანი მოკრივეა. მე ტაისონი დამიმარცხებია. ტაისონს უფრო ძლიერი დარტყმა აქვს, კლიჩკოს კი უფრო ზუსტი. მაგარია. ვერ გავინძერი."

ბრძოლის შემდეგ უილიამსი ერთ ვეგასურ ჰოსპიტალში გააქანეს, სადაც თავის რენტგენი გადაუღეს. ჰოსპიტალშივე მოხვდა ვიტალიც, რომელსაც ცემისგან ძალიან დასიებოდა ხელები. მოკლედ, უფროსი კილჩკო კვლავაც საბჭოს მძიმე წონის ჩემპიონია და ოკეანის გაღმა გვარიან სახელს იხვეჭს.

**ალბერ ხაჩატურიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინ იხდიდა ყველაზე კარგად



სერენა უილიამსი

**ქალთა ჩოგბურთში** თამაშის სტილზე არანაკლები ყურადღება ჩაცმულობის სტილსაც რომ ექცევა, ამაში ისინიც კი დაგვეთანხმებიან, ვისაც სპორტის ეს სახეობა სულაც ტელეპულტზე ჰკიდიათ. ეს კეთილი ხალხი ხომ ჩოგბურთით მხოლოდ იმის პირდაპირპროპორციულად ინტერესდება, რაც უფრო შილიფად იმოსებიან ამქრის უტურფესი გოგოშკები. ჰოდა, დაბლტიეიმ ანუ ჩვენებურად ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ ასეთ ხალხსაც და ჩვენც იმის საშუალება მოგვცა, რომ ერთობლივად გავარკვიოთ, თუ ვინ იყო გასული სეზონის ყველაზე მოდურად მოზმანავე ქალმეჩოგნე. რაკილა ამქარში ასობით მდედრი ჩოგნაობს, დაბლტიელმა ესთეტებმა იმსჯელეს და თავიანთ ოფიციალურ საიტ WWW.WTATOUR.COM-ზე მხოლოდ ხუთი კონკურსანტის ფოტო წარმოგვიდგინეს. ესენი ფრანგი ტატიანა გოლოვინი, სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა, რუსი მარია შარაპოვა და ამერიკელი დები — ვინუსი და სერენა გახლავან. როცა ხმას ვაძლევდი — და მე უკვე 4633-ე ხმოსანი გახლდით — პირველ ადგილს 32-32 პროცენტით შარაპოვა და სერენა იყოფდნენ, ვინუსსა და ჰანტუხოვას 13-13 ჰქონდათ, ხოლო გოლოვინი 10 პროცენტით უკანასკნელობდა. ჩანს, წლის უმოდურესი ქალმეჩოგნის ტიტულს ან სერენა ირგუნებს, ანაც მაშა და ჩვენც ამიტომ სწორედ მათი საკონკურსო ფოტოების დაბეჭდვა ვარჩიეთ. სერენას რომ ჩექმები და შავი კომბინეზონი ჰმოსავს, ეგ აშშ-ის ღია პირველობაზეა გადაღებული, ეს ელეგანტური თეთრი კაბა კი შარაპოვას უიმბლდონზე ეცვა. არჩევანი თქვენზეა.

**ლევან ძელაურაძე**



მარია შარაპოვა



# სილვერსტოუნი (გა)დარჩა

**FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP**

როგორც იქნა, გაჭიანურებული ყოყმან-ვაჭრობის შემდეგ სილვერსტოუნის ავტოდრომის საკითხი სასიკეთოდ გადაწყდა და დიდი ბრიტანეთის საპირველფორმულო დიდი პრიზი ამ ლეგენდარულ ტრასაზე გაისად უკვე 39-ედ გათამაშდება.

2005 წლის კალენდარში დარჩა აგრეთვე ბოლო დრომდე სათუო საფრანგეთისა და სან მარინოს ეტაპებიც.

ერთი სიტყვით, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნის საუფროსო თითის ქნევის მიუხედავად, რბოლა ყველა ქვეყანამ შეინარჩუნა. ის კი არა, წლევანდელებს ერთი ეტაპიც დაემატა და „სამეფო კლასის“ პილოტები გაისად 19-ჯერ გაიჯირითებენ — 21 აგვისტოს სტამბოლში თურქეთის პირველი დიდი პრიზის გათამაშება შედგება.

**2005 წლის კალენდარი**

| | |
|---|---|
| 6 მარტი | ავსტრალია |
| 20 მარტი | მალაიზია |
| 3 აპრილი | ბაჰრეინი |
| 24 აპრილი | სან მარინო |
| 8 მაისი | ესპანეთი |
| 22 მაისი | მონაკო |
| 29 მაისი | ევროპა |
| 12 ივნისი | კანადა |
| 19 ივნისი | აშშ |
| 3 ივლისი | საფრანგეთი |
| 10 ივლისი | დიდი ბრიტანეთი |
| 24 ივლისი | გერმანია |
| 31 ივლისი | უნგრეთი |
| 21 აგვისტო | თურქეთი |
| 4 სექტემბერი | იტალია |
| 11 სექტემბერი | ბელგია |
| 25 სექტემბერი | ბრაზილია |
| 9 ოქტომბერი | იაპონია |
| 16 ოქტომბერი | ჩინეთი |






მონტე კარლოში გაიმართა წლის გამორჩეულ ავტომძღოლთა ტრადიციული გალა-დაჯილდოება.

შოუს ასევე ტრადიციულად, მონაკოს პრინცი ალბერი უძღვებოდა. მას გვერდს უმშვენებდნენ რალის ჩემპიონი სებასტიენ ლოები და შვიდგზის ტრიუმფატორი მეფორმულე მიხაელ შუმახერი.

პრიზები „სამეფო რბოლების“ მეორე და მესამე პრიზიორებმა, რუბენს ბარიკელომ და ჯენსონ ბატონმაც მიიღეს.





REUTERS მონტე კარლოდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაური

*მოშინაურდა, ნაღდად მოშინაურდა მადრიდში მაიკლ ოუენი. თავიდან მწარედ აივდეს, ეგ ვინ არისო, ახლა კი ყველამ მოიწონა. საქველმოქმედო ამბებში მონაწილეობა კი მას საზოგადო კაცადაც აქცევს.*






REUTERS მადრიდიდან

# ევროპის დედოფლები

*ქარლინგი, გლეხურ ენაზე კი ყინულცოცხაობა ამ ჯერზე ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გათამაშებულა, როცა ევროპელ ქალთა ჩემპიონატი ყოფილა. შვედები ელეონორა ალვერა (მარჯვნივ) და ანეტ ნორბერელი ხარობენ, რახან ფინალში შვეიცარიელები 9:4 უძლევიათ.*



REUTERS სოფიიდან

# ზეჯანიანთა თასი

*მსოფლიოს ზეჯანიან კაცთა თასი ამ ჯერზე ედმონტონში თამაშდება. მთავარი არსი ნაირგვარი შეჯიბრებებისა სიმძიმეთა სწრაფად აწევა-გადათრევაა. ეს პოლონელი გოლიათი, გრეგორ პეკსარი კი ბარე 10 ათასი ფუნტის წონის კასრებს ექაჩება.*




REUTERS ედმონტონიდან

# კალგარიდან



*კალგარიში გახურდა კაც მოციგაევეთა მსოფლიოს თასი. პირველი დღის შემდეგ ლიდერობს რუსი ალბერტ დემჩენკო, რომელიც ფავორიტად ითვლება რიგ გასრიალებებში. ჩვენც ვნახოთ, რა და როგორ მოხდება ამ ხიფათა სპორტში.*

REUTERS კალგარიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლა, კელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge